დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 145 პარასკევი, 3 ივლისი 1909 წ. № 145

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებების მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ხებავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ოთხ ივლისს

პავლე ნიკოლოზის ძის მაჭავარიანის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, სოფ. კიცხში წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც ქვრივი **მართა** და შვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ. (1—კვ.—1)

!!საზოგადოების საყურადღებოდ!!

ამით მაქვს პატივი ვაუწყო ტფილისის და ახლო-მახლო ადგილების პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის პირველ ივლისიდან ალიხანოვის სახლში (ვორონცოვის ძეგლის მახლობლად) ვხსნით რუსეთისა და საზღვარ-გარეთის **ფეხსაცმელის მაღაზიას**. მაღაზიაში გაიყიდება საქონელი პეტერბურგის, ვარშავის, ვენის და სხვა ქალაქების ფირმებისა. ეს არის ეხლა მოვიდა საქონელი საუკეთესო ფირმებისაგან. სრულ პასუხის მგებლობას ვკისრულობთ საქონლის სიმკვიდრესა და სიკარგისთვის. ფასები ყველა საქონელზე ხელმისაწვდენია და შეუვაჭრებელი.

იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება თვითონ მოვა და დარწმუნდება, რა დიდძალი და კარგი საქონელი გვაქვს და რა იაფად ვყიდით.

(1—ხალ.—1) პატივისცემით **კ. ოგანიანც და შვილები.**

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფელდროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—99)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკაი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოვრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—184)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. ბიდევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ბაგუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 102)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სოლომონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—7)

ტფილისის სობრანიე

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ პარასკევს, 3 ივლისს, საღამოს 9 საათისათვის, საზაფხულო სადგომში დანიშნულია **საზოგადო კრება**. კენჭი უნდა უყარონ იმათ, ვინც კანდიდატად არის წარმოდგენილი. (2—306—2)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—116)

ექიმი ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში,

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—1)

დილის წარმოდგენა

ზუბალაშვილის სახალხო სახლი

კვირას, 5 ივლისს ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა ტრ. რამიშვილისა

„შეშლილნი"

პიესა 2 მოქ.

II

„არც აქეთ, არც იქით"

კომ.—ხუმრობა 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ (ალფავიტით): ქ-ნნი ანკარა, კავთელი; ბ-ნნი ანაშვილი, ბადრიძე, ბერიშვილი, გელა, დადვაძე, ევდოშვილი, იმედაშვილი—რამიშვილი, მელიქიშვილი, მეტრეველი, რომანიშვილი, სალაყაია, პეპანოვი, ჯანკვეტაძე, ხანდოველი და სხ.

ადგილების ფასი—20 კ.—1 მან. ბილეთები იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

დასაწყისი დილის 11½ საათზე.

რეჟისორი **ტრ. რამიშვილი.**

ადმინისტრატორი **ა. გარელი.** (2—1)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაპების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო

ქართული გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ ყმაწვილების მიღება პირველ განყოფილებაში დანიშნულია ამა წლის 28 აგვისტოსთვის. სხვა განყოფილებასა და კლასებში თავისუფალი ვაკანსია სრულიად არ მოიპოვება.

ხელმეორე გამოცდები დაიწყება 24 აგვისტოს.

სწავლის ფული **50 მანეთია** წელიწადში. (1—ნ.—1)

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივლისი

სპარსეთი

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის სპარსეთის საქმეების შესახებ დეპუტატებმა ოცზე მეტი კითხვა მისცეს. გრეის ახალი არაფერი უთქვამს. მან, სხვათა შორის განაცხადა: იმ ფაქტიდან, რომ რუსეთისა და ინგლისის მთავრობები ერთმანეთს ატყობინებენ, თუ რა ზომებია საჭირო უცხოელების ინტერესების დასაცველად სპარსეთში, არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, ვითომ თვითეული ამათგანი პასუხისმგებელი იყოს მეორეს მოქმედებისთვისაო. პონსონბიმ გრეის ჰკითხა: შეთანხმდით თუ არა რუსეთის მთავრობასთან, რომ კაზვინიდან თეირანში რუსის ჯარი ინგლისის თანხმობით გაიგზავნოს და მხოლოდ მაშინ, როდესაც თეირანში უცხოელებს რაიმე შიში მოელითო. გრეიმ უპასუხა, რუსეთის მთავრობამ გარკვეულად განაცხადა, რომ თეირანში ჯარს მხოლოდ იმ შემთხვევისთვის გავგზავნი, როდესაც ევროპიელებისთვის რაიმე განსაცდელი იქნება მოსალოდნელი. სხვანაირი შეთანხმება ჩვენსა და რუსეთს შორის არ არისო.

თავრიზი. ეს ორი დღეა, მთავარ მეჩეთში რამდენიმე ფანატიკოსი მოლა და უმუშევარი რევოლიუციონერები იკრიბებიან და თათბირობენ იმაზე, თუ როგორ განდევნონ სპარსეთიდან რუსის ჯარი, ხოლო რუსეთის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადონ. კაზვინის და რეშტის ენჯუმენებმა თავრიზში დეპეშები გამოუგზავნეს. ენჯუმენები მცხოვრებთ წინადადებას აძლევენ, რუსეთის შაქარს, ნავთს და სხვას ნუ იყიდითო. მათმა წინადადებამ შედეგი ვერ მოიტანა. რევოლიუციონერები და შაჰსევანები თავრიზის გზებზე დათარეშობენ, ვაჭრები ძალიან შეწუხებულნი არიან იმათგან. ვაჭრებმა რუსეთის კონსულს რამდენჯერმე სთხოვეს, დაიცავით თეირანის და არდებილის გზებიო.

თეირანი. სერდარ ასადმა და სეპეხდარმა ისარგებლეს ბნელი ღამით და თეირანში შევიდნენ. მათ დაიჭირეს მეჯლისის შენობა და სეპეხსალარის მეჩითი. ქალაქში თოფის სროლაა. პრინცებმა იზზუდ-დოვლემ და ნაიბურ-დოვლემ რუსეთის საელჩოს შეაფარეს თავი. საადუდ-დოულე გულხაკში დასახლდა. შაჰი სალტანეტაბადში მაგრდება.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: მთელ ღამეს განუწყვეტელი ომი იყო. დილით რევოლიუციონერებმა რამდენიმე ადგილი დაიჭირეს. მოსალოდნელია, რომ ყაზახები მათ ზარბაზნებსა და თოფებს დაუშენენ. სეპეხდარმა და სერდარ ასადმა რუსეთისა და ინგლისის რწმუნებულებს აცნობეს: თუმცა ლიახოვის სახლზე რუსეთის ბაირაღია აფრიალებული, მაგრამ იძულებულნი ვართ, ამ სახლს თოფები დაუშინოთ, რადგან იქ ყაზახები გამაგრდნენ.

იუწყებიან, რომ შაჰის ჯარი სცდილობს თეირანში ჩრდილოეთით შევიდეს.

თეირანი. 30 ივნისს, დილის 6 საათზე, სეპეხდარმა და სერდარ ასადმა ისარგებლეს იმით, რომ თეირანის შესავალს არავინ იცავდა და ქალაქში ყაზახები არ იყვნენ და თეირანში შევიდნენ. მათ დაუყოვნებლივ დაიჭირეს საყარაულო ადგილები, დაუყენეს დარაჯები და დაკეტეს ალაყაფის კარებები. აგარაკ ვერგენდიდან, სადაც ეხლა რუსეთის საელჩოა, გამოგზავნილმა საელჩოს კაცმა ძლივს-ძლივობით მოახერხა თეირანში შესვლა. მან რუსეთის ქვეშევრდომებს გადასცა, რომ თქვენ სახლებში რუსეთის ბაირაღები გამოჰკიდეთო. ამის შემდეგ საელჩოს მოხელემ ინახულა სეპეხდარი, სერდარ ასადი და ეფრემა. ამ უკანასკნელებმა საელჩოს მოხელეს გადასცეს: რადგან რუსეთ-ინგლისის ელჩების შუამავლობით სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, ამიტომ გადავწყვიტეთ თეირანში მისვლა, სადაც ვეცდებით ჩვენის მოთხოვნების განხორციელებას. ამისდა მიუხედავად ჩვენ მოუცდით საელჩოების წინადადებას, თუ ამ უკანასკნელებს სურთ რაიმე წინადადებით მოგვმართონო. ჩვენ ხელს არ ვახლებთ ამ უცხოელებს, არც სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის რუს აფიცრებს და მათ ოჯახებსაც. ჩვენ თვითონ ვკისრულობთ მათ დაცვასაო. ქალაქში შედარებით მშვიდობიანობაა, მხოლოდ ხანდისხან თოფის სროლა და ყუმბარების აფეთქება ისმის. ქუჩებში გაკრულია რევოლიუციონერების განცხადებები. რევოლიუციონერები მცხოვრებთ უხსნიან, მშვიდობიანობის დასაცველად ჩამოვედითო. რევოლიუციონერები ირწმუნებიან, ყაზახებს ხელს არ ვახლებთ, თუ თვითონ არ გვაიძულესო.

პეტერბურგი. კუნძულ კრიტოსის ოთხმა მფარველმა სახელმწიფომ იმ ზომების გარდა, რომელიც გუშინ იყო დეპეშაში მოხსენებული, თავიანთ ელჩების პირით საბერძნეთის მთავრობას გადასცეს, რომ ისეთი არაფერი ჩაიდინოს, რაიც ოსმალეთს ომის მიზეზს მისცემსო.

სტამბოლი. 30 ივნისს ოსმალეთის მთავრობას ჩააბარეს კუნძულ კრიტოსის შესახებ ნოტა. არქიპელაგიდან გასული ფლოტი პირველ ივლისისთვის სალონიკში მოიყრის თავს.

გარდაიცვალა სულთნის ძმა, პრინცი სულეიმანი.

სტამბოლი. კანეიდან იუწყებიან, მფარველ სახელმწიფოების დეკლარაცია კრიტოსის მთავრობას 30 ივნისს ჩააბარესო.

ბერლინი. „ზიუდდოიტშე-რეიხსკორესპონდენცი" სწერს: ჯერ ისეთი არაფერია, რაიც მფარველ სახელმწიფოებს ხელს შეუშლიდეს კუნძულ კრიტოსის საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტაში. რა თქმა უნდა, კრიტოსის საკითხის გადაწყვეტის დროს ეროვნული ბრძოლა ასტყდება. ეს კარგად იციან მფარველმა სახელმწიფოებმა და ისინი შესძლებენ ამ საფრთხის მოსპობას.

საზღვარ-გარედ.

მადრიდი. გაზეთ „ლიბერალს" 30 ივნისის თარიღით ატყობინებენ: როგის ცბუტები (ტომია) აუარებელ თემებთან ერთად თავს დაეცნენ ქალაქ ფეცს. დიდი ბრძოლის შემდეგ ამ უკანასკნელებმა ქალაქში შესვლა მოახერხეს.

ბერლინი. საიმპერიო კანცლერად დაინიშნა შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარი, უფლებათა დოქტორი ფონ-ბეტმან გოლვეგი.

საიმპერიო კანცლერის მოადგილედ და შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტრად დაინიშნა პრუსიის ვაჭრობის მინისტრად ნამყოფი დელბრიუკი: ამ უკანასკნელის ადგილზე—საიმპერიო ხაზინის მდივანი სიდოვი. შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტრის თანაშემწე ვერმუტი დაინიშნა საიმპერიო ხაზინის სტატს-სეკრეტრად. პრუსიის საერო განათლების მინისტრი გაილე სამსახურიდან დაითხოვეს; იმის ადგილზე ინიშნება ბრანდერბურგის ობერ-პრეზიდენტი ფონ-ტროტცუზოლცი. ბიულოვს ებოძა შავი არწივის ორდენი.

კოპენჰაგენი. დააპატიმრეს გაზეთ „მიდაგენის" რედაქტორი გემთონი გემთონი თავის გაზეთში დანიის მეფესა და რუსეთის იმპერატორს ცუდად შეეხო.

სიმლა. ხოსტის თემის მცხოვრებთა და სხვათაგან შემდგარი ბრბო თავს დაესხა კაჯურის სამხედრო სადგურის დარაჯს—ერთ უნტერ-აფიცერს და 7 სალდათს. ბრბომ მოჰკლა შვიდივე სალდათი და დასჭრა უნტერ-აფიცერი. ინდოეთის პოლკის 50 სალდათმა გაჰფანტა ბრბო და მოჰკლა სამი კაცი.

ბერლინი. იმპერატორმა ბიულოვის სახელზე რესკრიპტი გამოსცა. იმპერატორი სწუხს, რომ ბიულოვმა კანცლერობას თავი მიანება და მადლობას უცხადებს იმ შრომისათვის, რომელიც მან სამშობლოსთვის გასწია.

ბერლინი. ბიულოვმა „ჰამბურგერ-კორესპონდენცის" მთავარ რედაქტორს გადასცა ის მოტივები, რომელმაც აიძულა კანცლერობისთვის თავი მიენებებინა. ბიულოვმა მკაცრად მოიხსენია კონსერვატორთა პარტია და განსაკუთრებით ამ პარტიის ლიდერები. ბიულოვი პარტიას უსაყვედურებს, მან უარჰყო მემკვიდრეობაზე ახალ გადასახადის შემოღებაო. კონსერვატიულ პარტიის მოქმედება ბიულოვის სიტყვით, სოციალ დემოკრატებს აძლიერებს. მეთ, უთქვამს ბიულოვს, არც განსაკუთრებულ, არც პოლიციურ ზომებისთვის არ მიმიმართავს, მაგრამ მაინც შევძელი სოციალ-დემოკრატების ალაგმა. თუ შემდეგ არჩევნებში სოციალ-დემოკრატები გაძლიერდნენ, ეს კონსერვატორთა პარტიის მოქმედების ნაყოფი იქნება. მე არ დავითხოვე რეიხსტაგი, რადგან მეშინოდა ლიბერალურ და სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობისა, რომელიც არ დაამტკიცებდა პირდაპირ გადასახადს—400.000.000 მარკას. რაც შეეხება ცენტრს, რომელმაც მემკვიდრეობაზე ახალ გადასახადის დაწესებაზე უარი სთქვა, ეს იმით აიხსნება, რომ ცენტრს უნდოდა კონსერვატორებისთვის ესიამოვნებინა და შემდეგ ჩემთვის ფეხი წამოედო. პოლონელებმა კანონპროექტს ხმა მარტო იმისთვის არ მისცეს რომ მე ვეჯავრები მათ. სასაცილოა ვითომ პოლონელებს იმიტომ არ მიეცეთ ხმა კანონ-პროექტისთვის, რომ პრინციპიალურად წინააღმდეგნი იყვნენ.

რუსეთი

ყაზანი. ნაფიც-ვექილთა საბჭოს თავმჯდომარემ და ყველა წევრმა უარი განაცხადეს საბჭოს წევრობაზე. მიზეზი ის არის, რომ ნაფიცმა ვექილმა კუდინოვმა ზოგიერთ ვექილებს უჩივლა საკონკურსო მართველობებში ანგარებისთვის მოქმედებენო. ეს საქმე განიხილა სამოსამართლო პალატის საზოგადო კრებამ. ნაფიცმა ვექილება შეურაცხყოფად მიიღეს პალატის დადგენილების მოტივები.

იუევსკი. კატორგიდან გამოქცეულის დაჭერის დროს მოჰკლეს ბოქაულის თანაშემწე ხარბოლოვიჩი, დასჭრეს ერთი პოლიციელი. გამოქცეული სროლის დროს მოჰკლეს.

მოსკოვი. ღამე, ქალების სატუსაღოდან გაიქცა 12 პოლიტიკური ტუსაღი და ერთი სისხლის სამართალში მიცემული. 12 პოლიტიკურ ტუსაღ ქალს კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი. ტუსაღებს თან გაჰყვა ზედამხედველი—ქალი ტარასოვისა ჰფიქრობენ, რომ ტუსაღებმა მოისყიდეს ტარასოვა.

სერპუხოვი. სატუსაღოდან გაიქცა ხუთი ტუსაღი.

პეტერბურგი. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 120. გარდაიცვალა 43, ავად არის 814 კაცი.

ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადეს რიაზანის გუბერნია და მდინარე ოკა.

ორლოვი. სოფელ სივცდის მახლობლად მოჰკლეს სახაზინო დუქნების ფულის ამკრეფი და საერობო დარაჯი.

იარანსკი. კაკარკის მახლობლად მოჰკლეს სააქციზო ფულის ამკრეფი და საერობო დარაჯი, დასჭრეს მეეტლე. მეეტლეს სიტყვით თავდამსხმელები ბევრნი ყოფილან, როგორც ფიქრობენ, თავდამსხმელებს 500 მანეთი უნდა გაეტაცნათ.

ორიოლი. სახელმწიფო საბჭოს წევრად ერობამ ხელმეორედ აირჩია მიხეილ სტახოვიჩი.

მოსკოვი. ქალების სატუსაღოდან გაქცეულთაგან დააპატიმრეს ორი ტუსაღი. ზედამხედველი ქალი მათთან ერთად გაიქცა. დანარჩენი ორი ზედამხედველი—ქალი და ერთი ზედამხედველი შეკრულები ნახეს. ჰფიქრობენ, რომ ეს ძალად ჩაიდინეს. სამივენი დააპატიმრეს.

სოფლად

გაჭირვება ხალხისა.

(წერილი ქვიშხეთიდან)

„სოფელი გნახე უძაღლო, მიგ გავიარე უჯოხოო", ამბობს ქართული ანდაზა, რომელიც ზედ გამოჭრილია ჩვენს არე-მარეზე საზოგადოდ და კერძოდ ქვიშხეთის საზოგადოებაზე. რაც ამას წინად გაცნობეთ თ. ამილახვრის მოქმედების შესახებ, ის მკრთალი აჩრდილია იმისა, რაც ნამდვილად მოხდა—ხალხს ატუჟებდნენ, სულს ჰხდიდნენ, უკანასკნელ სარჩოს და ქერს ართმევდნენ. „უძაღლო ქვეყანაში" თ-დი ამილახვარი, რაც უნდოდა, იმას სჩადიოდა. იქამდისაც კი მივიდა საქმე, რომ საკითხი დროებით ვალდებულ გლეხთა შესახებ ახაზდეულად გადასწყვიტა თ-მა ამილახვარმა. დაავალებდა დროებით ვალდებულ გლეხს, ამა და ამ ფასად უნდა მეისყიდო ნადელიო და საქმე გათავებული იყო, დიდი წინააღმდეგიც რომ ყოფილიყო ამისა გაბედნიერებული გლეხი. პირობა მამულით სარგებლობის შესახებ იწერებოდა და კაი ბიჭი იქნებოდა ის, ვინც უარს განაცხადებდა ხელის მოწერაზე—მათრახი და მისი ჯანი. აწერდა გლეხი ხელს აუტანელ პირობაზე და წინ და წინვე ჰხედავდა იმას, რას დამართებდნენ თ-დი ამილახვარი ან მისი მოურავები, როცა გადასახადის დრო მოადგებოდა.

რამდენიმა გლეხმა განიზრახა ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალთან მიმართვა იმ იმედით, რომ თ-დ ამილახვრის მოქმედებას კანონის ფარგლებში მოაქცევდნენ, მაგრამ აქაც უიმედოთ დარჩა გლეხი. მომრიგებელმა შუამავალმა იმის მეტი ვერა ურჩია რა, რომ სასამართლოს მიმართეთ და ამით პილატესებურად ხელი დაიბანა.

პოლიცია? პოლიცია რა თვალით უყურებდა ამ საქმეს? იკითხავს მკითხველი. იგი, ბატონო, მორიდან უჭვრეტდა და თავის სიჩუმით თითქო „ბარაქალას" ეუბნებოდა თ-დ ამილახვარს. მართალია, ქვიშხეთის საზოგადოება ამ ჟამად პოლიციის „კრამოლის" ბუდედ მიაჩნია. აქ მოქმედებს საზოგადოების ხარჯზე მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი 12 სტრაჟნიკით (მათ მოქმედებაზე მერე გექნება და-

პარაკი) და ვინც ხალხის შევიწროვებასა და დაშინებაში ადმინისტრაციას ხელს შეუწყობს, ის პოლიციის დამხმარეთ უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ თვალით უყურებდა პოლიცია თ-დ ამილახვრის საქციელს.

ამნაირად, პოლიცია უნდა, ვიდრე მას არ მოსთხოვა საქმის გამოძიება უმთავრესმა მთავრობამ, ხოლო ეს მოთხოვნა გამოწვეული იყო გლეხების საჩივრით. საქმის გამოძიება მიენდო იმათ, ვინც ავის თვალით არ უყურებდა თ-დ ამილახვრის მოქმედებას და, ზოგიერთის სიტყვით, ხელსაც უწყობდა მას. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მაზრის ადმინისტრაცია თავს მაინცა და მაინც არ გაიცხელებს ამ საქმით.

მაზრის უფროსი, როგორც გწერდით, იყო ქვიშხეთში 18 ამ თვეს და, თანახმად უმაღლეს მთავრობის მოწერილობისა, გამოჰკითხა ხალხს, ვის რა გადაახდევინა უკანონოდ თ-მა ამილახვარმა. საჩივარი ბევრმა განაცხადა და საქმე იმით გათავდა, რომ მაზრის უფროსმა განუცხადა გლეხებს, — ჩემს თანაშემწეს გადავცემ ამ საქმეს და ის უფრო დაწვრილებით გამოიძიებსო. იქნება ასეც მოხდეს, მაგრამ დაინტერესებულნი ამ საგნის შესახებ სულ სხვა აზრისანი არიან. ისინი კარგად ჰხედავდნენ, რა თვალით უყურებდა პოლიცია თ-დ ამილახვრის მოქმედებას და როცა საჩივარი გაჰგზავნეს გუბერნატორთან და ნამესტნიკთან, იმედი ჰქონდათ, საქმის გამოძიებას მიანდობდნენ ისეთ მოხელეს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ ექნებოდა გორის მაზრის ადმინისტრაციასთან. რაკი ეს იმედი არ გამართლდა, ხალხი დაწყებულ გამოძიებას უიმედოდ უყურებს.

წედან აღვნიშნე, რომ ქვიშხეთის საზოგადოება, ვითარცა „კრამოლის“ ბუდე, გაზაფხულს აქეთ ისჯება მეთქი. დიად, ისჯება და სასტიკადაც ისჯება. რათა, რისთვის? იკითხავთ. ამავე კითხვას იძლევა თვით ხალხი და პასუხის მიღება შეუძლებელი ხდება. თუ ვისმეს ჰგონია, რომ სასჯელი იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოება ყოველ თვიურად მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისისა და სტრაჟნიკების შესანახად იხდის 250 მანეთს—სცდება. ეს ხარჯი მძიმეა, გადახდა უკანასკნელ ზომამდე გადატაკებულ გლეხისათვის აუტანელია, მაგრამ ეს ტვირთი შედარებით იმასთან, რასაც აყენებენ სოფლის მოხელენი ხალხს, არაფერია. აწერა ხალხის შევიწროვებისა მართლაც ძნელია.

რეპრესიები გამოიწვია სხვა და სხვა გარემოებამ. ახალ გაზაფხულზე ქვიშხეთის პლატფორმის მახლობლად დამე მოჰკლეს თ-დ სუმბათაშვილის ტყის მცველი ქურდოვანიძე იმ დროს, როცა მას იმავე სუმბათაშვილის მოურავი დ. ნევსაძე და სხვა მოსამსახურენი სულ ოცი ნაბიჯის მანძილზე მისდევდნენ მოკლულს. ვინ მოჰკლა ქურდოვანიძე, ან რად მოჰკლეს იგი, არავინ იცის. ჭორი ათასნაირი ტრიალებს, მაგრამ ჭორი ჭორად რჩება, გამოძიება თავისით სწარმოობს და ვიდრე მკვლელი აღმოჩნდებოდეს, ხალხს დააწვნენ და დამნაშავე მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უთხრა მათ ბოქაულმა, ეგზეკუციას ჩაგიყენებთო. იმათ ეცოდინებათ, ვინც ახლდა მოკლულსაო, ჩვენ არ ვიცით ვინ ან რად მოჰკლა ქურდოვანიძეო.

არ გასულა ამას შემდეგ დიდი ხანი და იმავე პლატფორმის მახლობლად მოჰკლეს ქვიშხეთის საზოგადოების 2 იასაული, ადგილობრივი მცხოვრებნი აბრამაშვილი და თავზარაშვილი. ეს მკვლელობაც იმნაირადვე გამოურკვეველია დღეს, როგორც ქურდოვანიძისა. თუ შესაძლებელი იყო იმის ფიქრით, რომ ხალხი ავის თვალით უყურებს თ. დ. სუმბათაშვილის ტყის მცველს, ამისავე თქმა იასაულებზე შეუძლებელი იყო. პირიქით ხალხი მადლიერი იყო ერთისაც და მეორისაც და შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, ვითომ ისინი ხალხიდან ვინმემ მოჰკლა, მაგრამ მაზრის ადმინისტრაციამ ეხლანდელ დროისთვის ჩვეულებრივის საზომით გაზომა საქმე და იმის მაგიერ, რომ ცდილიყო ზედი-ზედ მომხდარი მკვლელობა გამოერკვია, ქვიშხეთის საზოგადოებას ჩაჰკიდა ქეჩოში ხელი და მკვლელების აღმოჩენა მოსთხოვა. გარდა ამისა, გადააყენა არჩეული მამასახლისი, დანიშნა ადგილობრივი მემამულე გ. სავანელი მამასახლისად, სტრაჟნიკთა რიცხვი ათამდის აიყვანა და ახალ ადმინისტრაციას დაავალა დამნაშავის აღმოჩენა. ამავე ხანებში ტყე შეიმოსა და საგმიროდ მიმალულ ესრედ წოდებული რაზმელები ჩვენს არე მარეში გაჩნდნენ. ერთის მხრით ზემოხსენებულმა მკვლელობამ, მეორეს მხრით რაზმელების გაჩენამ ადმინისტრაცია სრულებით გააბოროტა და ცხენს რომ ვერა დააკლო-რა, უნაგირს მოსდგა, და ამას აქეთ მოდის და მოსტარის თავის წუთი-სოფელს ისედაც დაბეჩავებული ხალხი.

საქმე ამით არ გათავებულა: 6 მაისს ჩვენს დაბაში ვიღაც ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ ქვიშხეთის მამასახლისს სავანელს, რომელსაც თან ახლდა აჯარელი სტრაჟნიკი; პირველი მძიმედ დასჭრეს, ხოლო მეორე მოჰკლეს. ეს ამბავი მოხდა სურამის ბოქაულის რეზიდენციაში, თითქმის იმის კარწინ და მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ძალა და დრო ჰქონდა, თავდამსხმელნი ვერ აღმოაჩინა. სამაგიეროდ, ქვიშხეთის მამასახლისად დანიშნა ვიღაც გოზალოვი, რომელიც ნამდვილი ღვთის რისხვა აღმოჩნდა ხალხისათვის, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. **ზემოური.**

ახალი ამბავი

ტფილისი.

✦ **კავკასიის ნამესტნიკი.** შავრაზმელების გაზეთი „ზემშჩინა“ იუწყება, რომ ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიაში აღარ დაბრუნდება; იმის ადგილზე ნიშნავენ ერთ-ერთ დიდ მთავარს, ხოლო ახალ ნამესტნიკის თანაშემწედ დაინიშნება გზათა მინისტრი რუხლოვიო.

✦ **კიდევ საბავშვო ბალის შესახებ.** როგორც ვწერდით, ვერაზე აკრძალეს ქართველ მშობლების მიერ გამართული საბავშვო ბალი. საქმის ინიციატორებმა მიმართეს სახალხო განათლების მინისტრს და შეეკითხნენ, მართლა არ შეიძლება, რომ 5-6 წლის ქართველმა ბავშვმა ქართულად ილაპარაკოსო? სამწუხაროდ, გამართვის ინიციატორებს დღემდე არ მოსვლიათ პასუხი.

✦ **ქალაქის თავი.** ტფ. ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი უკვე პარიზშია. ამ დღეებში ცნობილ ექიმის დეფოს სამკურნალოსაგან ტფ. ქალაქის გამგეობას მოუვიდა დეპეშა, რომ თავ. ჩერქეზიშვილს უსათუოდ ოპერაცია უნდა გაუკეთდეს და საჭიროა კიდევ 1800 მანეთიო.

✦ **ფულის კოლექცია.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ წელს 2000 მანეთი გადასდო მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულად ნამყოფის ბ ნ მედვედევისაგან ძველი ფულის კოლექციის შესაძენად. ამ დადგენილების შესასრულებლად ამ სამი დღის წინად დაბა ბორჯომში წავიდნენ გუბერნიის მარშლის მოადგილე თავ. პ. ი. თუმანიშვილი და ე. ს. თაყაიშვილი. მათ კოლექცია უკვე ჩამოიტანეს. კოლექციაში შედის 1100 ცალამდე ვერცხლისა და სპილენძის ფული ძველის დროისა. კოლექციაში არის რომაული, ბერძნული, ქართული და სპარსული ფული.

✦ **გაფიცვა შიმშილით.** „კასპს“ ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: მეტეხის ციხეში კატორღელები შიმშილით გაიფიცნენო. მიზეზი—სეირნობის აღკრძალვაა.

✦ **ცოლების უკმაყოფილება.** „ს—კ. გაზეტა“ შემდეგს ამბავს გადმოგვცემს: „ქალაქი არმავირი კაფე-შანტანებით არის სავსე. არმავირის მცხოვრები გაათავებს თუ არა მუშაობას, იმ წამსვე კაფე-შანტანში გარბის და იქ ხარჯავს უკანასკნელ კაპეიკს. სახლში კი მშივრები არიან ცოლიც და შვილებიც. არმავირის მცხოვრებთა ცოლებს გადუწყვეტიათ ბოლო მოუღონ ასეთ ცხოვრებას. მათ კრება გაუმართიათ და დაუდგენიათ, მიჰმართონ ადმინისტრაციას, რომ კაფე-შანტანები დაჰკეტოს. თხოვნა უკვე დაწერილია და ხელის მოსაწერად დააქვთ. თხოვნას არმავირის პოლიცმეისტერს გადასცემენ. თუ ამ საშუალებამ არ გასჭრა, ქალებს გადაუწყვეტიათ, უფრო სასტიკ ზომებს მიმართონ.

✦ **გლეხები სამუშაოდ.** ამ დღეებში ტფილისზე გაიარეს ყარსის ოლქისა და ბორჩალოს მაზრიდან დაბრუნებულმა ქსნის ხეობელმა გლეხებმა. გლეხები ნამგლებითა, ცელებითა და სხვა იარაღით დალილ-დაქანცულნი ლასლასით მიდიოდნენ ტფილისის ქუჩებზე. ეტყობოდათ, დიდი მანძილი უნდა გაევლოთ ქვეითად. გამოკითხვის დროს გამოირკვა, რომ გლეხები თათრების სოფლებში ყოფილიყვნენ დღიურ სამუშაოზე. დღეში სულ დიდი 40—50 კაპეიკს ძლივს აძლევდნენ თურმე. ისე გაუჭირდა ამ ბოლო დროს ჩვენ გლეხს, რომ თითქმის სპარსეთის საზღვარზე მიდის დღიურ მუშად, მაგრამ იქაც ორიოდე აბაზზე მეტს ვერა შოულობს.

✦ **მკვლელობა.** სოფ. წილკნიდან გვატყობინებენ (დუშეთის მაზრა). კვირას, 28 ივნისს, როდესაც ს. ერედიდან დაბრუნებულა კოლა დედაბრიშვილი, ს. ძალისის მახლობლად, საღამო ხანს, გზაში დაჰხვედრიან ბოროტ-განმზრახველნი და მოუკლავთ. მოკლულს რვა ტყვიის ჭრილობა აღმოაჩნდა. მკვლელები მიიმალნენ.

✦ **სასამართლოში.** ოთხ მკათათვეს ოლქის სამხედრო სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე იოველ, მიხეილ და დავით დარჩიაშვილებისა და ალექსი ესიტაშვილისა, რომელთაც ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა ს. ანაგაში (ქიზიყი) ოთხ თებერვალს ამა წელს. 9 მკათათვეს იქავე დანიშნულია საქმე ტფილისის რ. ს. დ. პ. მეორე რაიონის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებისთვის გრიგორ და სამსონ ცინცაძეებისა.

✦ **ნების დართვა.** ნამესტნიკის საბჭომ დაადგინა, ნება მიეცეს ბაქოს ქალაქის თვითმართველობას აიღოს სესხად წყლის გასაყვანად 26,200,000 მანეთი.

✦ **სხდომები საერობო საკითხის განსახილველად.** დღეს, 3 ივლისს საღამოსთვის დანიშნულია კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა. საბჭომ უნდა განიხილოს საკითხი ერობის შემოღების შესახებ. საბჭომ თავის სხდომაზე ამ საკითხის განსახილველად მიიწვია 35 მდე წევრი და გარეშენი. სხდომა რამდენსამე დღეს გასტანს.

✦ **ქართველების დევნა.** ახალი ამბავი არ არის, რომ ქართველ მუშას სამუშაო ვეღარსად უშოვნია. ეხლა თურმე ქართველ ვაჭრებსაც დაუწყეს დევნა. განჯაში რამდენისამე ქართველ ვაჭარს სადგურთან სავაჭროები ჰქონია. ქართველების განჯაში ყოფნა, როგორც გადმოგვცეს, ბევრს არ მოსწონებია და ახირებიან: წადით თქვენს ქვეყანაში, იქ ივაჭრეთ, აქ ჩვენ ლუკმას ნუ გვართმევთო“. საქმე ადმინისტრაციამდე მისულა და ვაჭრები განჯიდან გაუდევნიათ. ვაჭრებს გადაუწყვეტიათ, ნამესტნიკს მიმართონ.

✦ **საოპერაციო ბიურო.** მოვიყვანთ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოებდა საქმეს კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. საზოგადოებასთან არსებულ საოპერაციო ბიუროს განაგებდა ბათუმის ეხლანდელი ქალაქის თავი თავ. ანდრონიკაშვილი. 1908 წელს ბიუროს გაუყიდნია 82 000 მანეთის იარაღი და სამკურნალო მასალა; 1899 წელს—124,000 მანეთისა, 1900 წ.—97,000 მანეთისა; 1901 წელს—78,000 მ., ხოლო 1902 წელს—42,000 მან. ამ დროიდან ბიუროს გამგედ მოწვეულ იქმნა პ. ყიფიანი. იმის ხელში 1903 წელს ბიუროს გაუყიდნია მასალა და იარაღები 32,000 მანეთისა, 1904 წელს—101,000 მან., 1905 წ.—36,000 მან. 1906 წელს ბიუროს მოქმედება დაცემულა და მთელი საანგარიშო წლის წარმოება 9000 მანეთით გამოხატულა. 1907 წელს სამეურნეო საზოგადოების საქმეები ძალიან შეფერხდა. საბა[illegible] და საქმის წარმოება, ბიუროს გამგეობა და სხვა საქმეები დააწვა თითქმის ერთად-ერთ კაცს ეგ. იოსელიანს. მაინც ბიურომ 20,000 მანეთის საქონელი გაჰყიდა. ამის შემდეგ, როგორც ვიცით, ასტყდა განგაში—საზოგადოება მოკვდა, უნდა გავაცოცხლოთო, და ცნობილ ვერმიშევისა და სხვების მეთაურობით განახლდა საბჭოს ახალი წევრებისა და მდივნის არჩევანი. ბიუროს გამგეობა ჩაჰბარდა ბ ნ ფირალოვს. მიუხედავად ამისა ბიუროს საქმეები ვერ გამოკეთდა, პირიქით დაეცა. ბიუროს განყოფილებანი თელავსა, სიღნაღსა და სხვაგან დაიხურა და წარმოება ბიუროსი 1908 წელს 4,000 მანეთს არ ასცილებია. ბიუროს მოქმედება წელს თითქმის დასრულდა კიდეც, მაგრამ მას 4000 მანეთის საქონელზე მეტი ვერ გაუსაღებია. ასე „გაცოცხლდა“ საზოგადოება.

✦ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ახალგაზდა სომეხი მეცნიერი ნ. ადონცი, რომელიც მომავალ სასწავლო წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიწყებს ლექციების კითხვას სომხურ ლიტერატურა-ისტორიის შესახებ. ადონცი ჩამოვიდა ტფილისში იმ განზრახვით, რომ კარგად შეისწავლოს ქართული ენა და გაიცნოს ქართული საისტორიო მასალა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიუროს გამგე თავ. პავლე არღუთინსკი ორი თვით სამსახურიდან იქმნა განთავისუფლებული, ხოლო ბიუროს გამგებლობა ჩაბარდა გამგეობის მდივანს სტ. ა. ლანდუროვს.

✦ 1 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე, ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში გადავარდა ვაგან ყაზაროვი. ყაზაროვს ჩაეშველნენ და გადაარჩინეს. თავის მოკვლის განზრახვის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ყაზაროვს ამ დღეებში ცოლი გარდასცვლია და დარდში ჩავარდნილა.

✦ მუხრანის ბორანთან 1 ივლისს საღამოთი, მტკვარში ბანაობის დროს გიორგი წოვიანოვი წყალს ჩაუთრევია და დაუხრჩვია.

✦ 1 ივლისს ღამე გაუჩხრეკიათ მეეზოვე სარქის სააკიანცი პოლიციის მე-10 ნაწილში. მეეზოვეს აღმოაჩნდა რევოლვერი და ბებუთი. მეეზოვე დააპატიმრეს, რადგან ნება-რთვა არა ჰქონია იარაღის სატარებლად.

ტფილისიდან ჯულფამდე

ერთის თვალის გადავლებით.

მგზავრის წერილები. *)

მივედით ერევანში. სადგური და რკინის გზის შენობები აქაც კარგია, განსაკუთრებით მოსამსახურეთათვის სადგომი თეთრი სახლები, ლამაზი და ფართო ეზოებით. ქალაქიდან სადგური კარგა მოშორებითაა, ორ ვერსამდე იქნება. მისვლა-მოსვლის გასაადვილებლად ტრამვაია გაყვანილი, თუმცა ტრამვაიც არის და ტრამვაიც. სადღაც უშოვნიათ დაძველებული გაფხეკილ-გადაზნექილი ვაგონები, დაუგიათ მიღრანჯულ-მოღრანჯული რელსები, შეუბამთ ჩათლახი ცხენები და ტრამვაი დაურქმევიათ. მისვლისათანავე ამ გვარ ტრამვაით სარგებლობის ღირსიც ვერ გავხდით, რადგან დღესასწაულებისა გამო, დილით ტრამვაი არ მუშაობდა, ტრამვაით ჩვენ ვისარგებლეთ საღამოთი, უკან დაბრუნების დროს. ერთი შენიშვნაც ტრამვაიზე. ბევრ ქალაქში მინახავს ტრამვაი, მაგრამ მარტო აქ შევხვდი, რომ კონდუქტორი „ნაჩაის“ ფულს თხოულობდა და ძლიერაც გამიკვირდა. ღვთის წინაშე, გადაკრულში-კი იყო.

სადგურიდან ფეხით გავწიეთ. ქუჩა ფართოა, მაგრამ მოუკირწყლავი და ზედ ნახევარი არშინი სისქე მტვერი იყო. მტვრის მეტი რა მინახავს, მაგრამ ამ სისქეს და ასე უხვად არსად შევხვედრივარ. ფეხსაცმელი მტვერში ისე იფლობოდა, როგორც თოვლში. რაც აქ წვიმის დროს იქნება, ადვილი წარმოსადგენია. ჩემი თანამგზავრი აქ ერთხელ ყოფილიყო წინადაც. ავდარი შეჰხვედროდა, მაშინ ტრამვაი გაყვანილი არ იყოო და მაშინდელ აქაურ გასეირნებას ხმის კანკალით იგონებდა. ქუჩის იქით-აქეთ, ხან ნახევრად დანგრეული თიხით შეთითხნილი სახლი გვხდება, ხან თიხისავე მაღალი გალავანი. ეს თიხის გალავნები კი საინტერესოა. უტყუობას აქ ადამიანი თიხის რიგიანად მომზადებისთვის მიუჩნევია. თიხას ალბად ზელავენ და ისე აშენებენ კედელს. ზოგ გალავანს ორ საჟენამდე სიმაღლე აქვს. მერე ისეთი მაგარია, რომ ყუმბარა ვერ გაატანს. გაკეთება მართლა ბევრ შრომას და დროს თხოულობს, სამაგიეროდ, თუ რიგიანად გააკეთა კაცმა, მთელი სიცოცხლე ლობე მოსაგონებლადაც არ ექნება. ათაში ერთხელ ცოტა შეკეთება სახსენებელი არაა. დასწყევლა ღმერთმა, იმერეთში მარტო ცარიელი თიხის და ისიც სამი ოთხი არშინი სიმაღლე გალავანი კაცს შეუძლებელი ეგონება. მამა ჩემმა მთელი თავისი სიცოცხლე ლობე-მესერს და ჯებირებს გადაალია თავი და მაინც არ იქნა, ბოსტან-ყანას ღორი ვერ გადაარჩინა; იმათ დინგს მაინც ვერ გაუძლო ვერც წნელმა და ვერც მუხის როკმა. აქაურ თიხის გალავანზე კი, ჩიტი თუ გადაფრინდება, თორემ ღორი რას გააწყობს!

აი, შევედით ქალაქში. პირველი რაც კაცს თვალში ეჩხირება, უსუფთაობაა. საითაც პიხედავ, ნაგავი და ტალახია. ჯერ ასეთი უსუფთაო ქალაქი არ მინახავს. ერთი კი არის. აქაური ნიადაგი მეტის მეტი ნესტიანია, თლილი ქვაც სველია სინესტისაგან, სინესტე თავის თავად ძლიერ ხელს უწყობს და თითქმის აჩენს უსუფთაობას და ამისთანა ალაგას სისუფთავის დასაცველად კარგი თანხა და შეგნებაცაა საჭირო.

ქალაქის შუა გულ ოთხკუთხი ფართო მოედანია, მოედნის შუაგულ ვეებერთელა თლილი ქვის სვეტებზე აგებული ფარდული, სადაც დიდი ყაფნებია მოთავსებული. ალაგ-ალაგ ლამაზი თლილი მოწითანო ქვის ორ-სამ სართულიანი სახლიცა სდგას, მაგრამ ამათ გვერდით და უმეტესობა ისეთი ქოხ-მახებია, რომ გული აგერევა. ეზოების სისუფთავეზე ხომ ნურას იტყვი. შუა მოედნის გვერდით დიდებული ხუთთავიანი საკრებულო ტაძარია ამართული. ტაძარი შავი თლილი ქვისაგანაა აგებული, ძლიერ მაღალია და რაღაც მტკიცე შთაბეჭდილებას ახდენს. კარგი თვალი ამ საყდარს ულუხანლუდანაც გაარჩევს. ეს საყდარი რუსებს თავიანთ სახელისთვის უფრო აუშენებიათ ალბად, ვიდრე საჭიროებისთვის, რადგან აქ რუსობა მხოლოდ მოხელეობაა და ისე მცხოვრები ბინადარი მოქალაქე არავგონებ ბევრი იყოს. საყდრის გვერდით ბაღია, მოუწესრიგებელი, უხეირო გზებით და ღარიბ მცენარეულობით, თუმცა ზოგიერთ ხის ახოვნობა ამტკიცებს, რომ ბუნება აქ ხეს გაზრდის და უფრო ნაყოფიერი შრომა საუცხოვო სასეირნო ბაღს გააშენებს. არის ერთი ქუჩა, ხილკოვის ქუჩას ეძახიან, რომელიც ელექტრონითაა განათებული. საეროდ გარეგნობით ერევანმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ადგილმდებარეობაც სრულებით არ უვარგა.

ერევანი ერთი ძველი ქალაქთაგანია. მეშვიდე საუკუნეში, არაბების შემოსევის დროს, ერევანი ქალაქად იხსენიება. 1582 წელს მდ. ზანგას ნაპირზე ოსმალებმა ციხე გააშენეს. 1604 წელს ციხეში სპარსელები ბატონობდნენ. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ქართლ-კახეთის მეფე და სრულიად საქართველოს მეთაური ერეკლე დიდი მოგერებიდან იერიშზე გადავიდა. რამდენჯერმე ბრწყინვალედ დაამარცხა სპარსელ-ოსმალები, არა ერთხელ მისალმა მისი ელვარე ხმალი თეთრ-ჩაფხუტა არარატსა და ერევანიც ერეკლეს მოხარკე გახდა. შემდეგ ისევ სპარსელები გაბატონდნენ ერევანში. 1828 წელს რუსის გენერალმა პასკევიჩმა ერევნის ციხეზე იერიში მიიტანა და წაართვა სპარსელებს. ეს ციხე მიუვალად ითვლებოდა და იმის დაპყრობისათვის პასკევიჩის გვარს „ერევნელი“ მიუმატეს. ამ ციხის გალავანი ახლაც არის. ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ვერ გავიგე, რა უნდა ყოფილიყო იქ მიუვალი. დასავლეთით, მართალია, ციხეს ჩაუდის მდ. ზანგა, რომელსაც ღრმად ჩაუქლიბავს ფიქალი კლდეები და ძლივს ძლივობით გზა გაუკვლევია, მაგრამ ხეობა ისეთი ვიწროა, რომ წყლის გაღმიდან უბრალო ზამბურაკიც მტვრად გადააქცევს რაღაც საცოდავად შეთითხნულს დაბალ გალავანს. უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ გალავანი უფრო მაღალი და შნოიანი იქნებოდა და თოფ-ზარბაზნებითაც გამაგრებული, თუმცა მიუვალ ადგილის ნაშთს მაინც არა ჰგავს აქაურობა. ნაციხარის ერთ კუთხეში ჩრდილოეთის მხრივ რაღაც მკვიდრი და მაღალი, შავი, თლილი ქვისაგან აგებული სამ-სართულიანი სახლი შევამჩნიე. ეს სახლი სწორედ რომ ბატონობს იმ არე-მარეს. დავინტერესდი, ახლო მივედი. კარებზე მსხვილ მოვარაყებულ ასოებით ეწერა: Шустовъ и К-о. შუსტოვს, როგორც ეტყობა, მაგრა მოუკალათნია აქ. იმას უფრო მტკიცე საძირკველი ჩაუყრია, ვიდრე ძველი ციხის ამშენებელს. შუსტოვის ვეებერთელა შენობა ამაყად გადაჰყურებს ღრმა ხევში შხუილით მომავალ ზანგას ნაპირებს და თამამადაც შეუძლიან დაიკვეხოს: „მე ვარ და ჩემი არაყი დამთრობელი ხალხისაო“. ამბობენ, ერევანში ციებ-ცხელება ხშირიაო, მე კი მიკვირს, რაც აქ უსუფთაობაა, რატომ შავი ჭირიც არ გაჩნდება.

ერევანში ბევრს ხანს არ გავჩერებულვარ. ბევრი ხანია, რაც მწყუროდა ეჩმიაძინის ნახვა და რაკი ასე ახლო გავლის შემთხვევა მომეცა, გადავწყვიტე ერთი საათით მაინც შემევლო და იმისთვისაც თვალი გადამევლო. მითხრეს, მისვლა-მოსვლა ერევან-ეჩმიაძინს შუა ადვილია, სულ ექვსი შაური, ან ორი აბაზი ღირს დილიჟანითაო, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, დღესასწაულის გამო დილიჟანი არ მუშაობდა. მოვსძებნე ერთი მეეტლე, მაგრამ იმან საქმე მეტის-მეტად გააჭირა, ძალიან ბევრი გვთხოვა. მივმართეთ ფოსტის სადგურს და საფოსტო ეტლი დავიქირავეთ. ეჩმიაძინი ერევნის დასავლეთითაა, 18 ვერსის მანძილზე. მათ შუა საკმაო კარგი გზატკეცილია, მაგრამ საფოსტო ეტლზე კი რა მოგახსენო. იქაურ ეტლს საჯდომად მხოლოდ დაბანდული ბანარი აქვს. სად არის, ან ბალიში, ან თივა მაინც. თქვენს მტერს, რაც ჩვენ გამოვცადეთ 18 ვერსის მოგზაურობის დროს. ეჩმიაძინის გზა სწორედ შუსტოვის არყის ქარხნის გვერდით მიდის. ზანგაზე ქვის მკვიდრი ხიდია გადებული. მდინარის გაღმა სწორი ზეგანია, რომელიც მთლად ბაღებითაა მოფენილი. ბაღებს თიხის გალავანი არტყია. იმ დროს ხეხილი ახლად ყვაოდა და მთლად არე-მარე თეთრ-ნათლად იყო გადაპენტილი. ბაღები სარწყავია. წყალი ბევრგან მოჩუხჩუხებს. ზეგანი საკმაო დახრილს ფერდობს წარმოადგენს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. რამდენიმე ვერსი სულ გალავნებ შუა მიდიხარ—მარჯვნივ და მარცხნივ სულ ბაღებია. ცხენის მაგივრობას აქ, ეტყობა, აქლემი ასრულებს. წამ და უწუმ გვხდება წინ

---

*) იხ. „დროება“, N 132.

◆ 1 ივლისს დააპატიმრეს სარქის ნასყიდოვი, რომელსაც ხანჯა-ნაგი-მირზოევისათვის ჯიბიდან ტრამვაის ვაგონში 335 მანეთი ამოუცლია.

◆ დააპატიმრეს არტაშეს ოვაქიანცი და ერასტი ბერიძე, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავიანთ ნებით დაბრუნებულან.

წყლის მილი ქუთაისში

თუ 1 და 15 ივნისს საბჭოს სხდომები არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, სამაგიეროდ 28 ივნისის სხდომას ხმოსანთა საკმაოზე მეტი რიცხვი დაესწრო. სხდომას დაესწრო აგრეთვე თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი, ოლქის ნასამართლოს წევრი ი. გასნევსკი და სხვანი. ეტყობოდა, ამ საღამოს რაღაც სერიოზული საკითხი უნდა გარჩეულიყო, რომელსაც დაეინტერესებია როგორც ხმოსნები, ისე გარეშე საზოგადოება.

ეს საკითხი იყო—რამდენისამე პირის განცხადება ქუთაისში წყლის მილის გაყვანის შესახებ. ვინც ამ საკითხის 25 წლის ისტორია იცის, მას არ გაუკვირდება, თუ საზოგადოება ასე დაინტერესებულია და ციურ მანანასავით მოელის წყლის მილს, განსაკუთრებით, უკანასკნელ დღეების პაპანაქება-სიცხეებმა და აღმოსავლეთის სულის შემხუთველმა ქარმა აგრძნობინა საზოგადოებას წყლისაყვანის უქონლობის სიმწვავე და მისი აუცილებელი საჭიროება. ამიტომაც იყო, რომ საბჭოს დარბაზს დიდ-ძალი საზოგადოება მიაწყდა, რომელიც დაჟინებით თხოულობდა, მოგვეცით წყალი, თუნდაც იგი უბრალო რიონის წყალი იყოს, რომ შეგვეძლოს ქუზების მორწყვაო.

როგორც ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, წყლისაყვანის საქმე 188⁴/₅ წელს დაწყებულა. მას აქეთ ათასჯერ მოუწვევიათ სპეციალისტთა კომისიები, რომელთაც მოუხდენიათ საჭირო გამოკვლევანი, შეუკრებიათ დიდძალი ცნობები და წარუდგენიათ საბჭოსათვის თავისი აზრი წყლისაყვანის შესახებ. ამ გამოკვლევებისა და ცნობების მიხედვით, 1901 წელს ქალაქის საბჭოს ინჟენერ მიხაილოვისა და ამხანაგობისათვის მიუცია კონცესია წყლისაყვანის გასაკეთებლად. კონცესიონერს თავის დროზე ვერ შეუსრულებია პირობა, რის გამო 1905 წელს ქალაქის საბჭოს დაუდგენია, რომ ინჟენერ მიხაილოვთან დადებული პირობა გაუქმებულიყო და მის მიერ წარდგენილ გირაო 20,000 მანეთი ქალაქის სასარგებლოდ დარჩენილიყო. მას აქეთ, ჯერ რევოლიუციისა და მერე რეაქციის წყალობით საქმე შეჩერებული ყოფილა და მხოლოდ წელს გამოცოცხლებულა. ამჟამად ქალაქის გამგეობაში ორი სერიოზული განცხადებაა შეტანილი წყლისაყვანის კონცესიის შესახებ. ერთი—ინჟენრების დადიანის, კანცელისა და ანდრეევის და მეორე გრაფის დროგიოვსკისა და ინჟენრის ჯავახიშვილის. მათ განცხადებათა შორის უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ პირველს უნდა წყლისაყვანისათვის პირველ ხანებში გამოიყენოს ორთქლის ძალა, შემდეგ კი, როდესაც საქმე გართულდება და საჭირო შეიქნება 400 ცხენის ძალა, მაშინ მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად რიონის წყლის ძალას მიმართოს; მეორე კი პირველადვე აპირებს წყლისაყვანისათვის დროს ტეხნიკურ მოწყობილების გამართვას მდ. რიონზე. წყლისაყვანისათვის ორივეს რიონის წყალი უნდა გამოიყენოს. როგორც მკითხველი ჰხედავს, ქალაქისათვის მეორე განცხადების უმთავრესი მუხლი უფრო ხელსაყრელია, მაგრამ დანარჩენ მუხლებში საზოგადოდ პირველი განცხადება უფრო სასარგებლოა ქალაქისათვის.

ეს განცხადებები რამდენჯერმე განუხილავს ქალაქის გამგეობის საადმინებლო, საფინანსო და სასანიტარო კომისიების თანადასწრებით და დაუდგენია: 1. წყლისაყვანის გაკეთება გაიცეს კონცესიით; 2. თუ კონცესიონერი იშოვნიმ იმდენს წყაროს წყალს, რომ ქალაქისათვის საკმაო იქმნეს (არა ნაკლებ 400,000 ვედროსი დღე-დამეში) და თითო ვედროში გადასახდევინებს მცხოვრებთ არა უმეტეს ¹/₄ კაპეიკისა, იმ შემთხვევაში წყლისაყვანი წყაროს წყლისაგან გაკეთდეს, თუ რასაკვირველია, კონცესიონერი დასთანხმდება, ხოლო, თუ კონცესიონერმა ამაზედ უარი განაცხადა, იმ შემთხვევაში ნება მიეცეს, წყლისაყვანისათვის რიონის წყალი იხმაროს; 3. მიენდოს ქალაქის გამგეობას ზემოხსენებულ კომისიების დახმარებით კერძო მოლაპარაკება იქონიოს განცხადებების შემომტანლებთან კონცესიის პირობების შესახებ და შემუშავებულ პირობის პროექტი წარუდგინოს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმან, რიონიდან იქმნას გამოყვანილი წყალი, თუ წყაროებიდან.

დ. ა. ნაზაროვი, რომელიც თავიდანვე წყაროს წყლის მომხრე ყოფილა, ეხლაც იმ აზრისა იყო, რომ უპირატესობა წყაროს წყალს უნდა მიეცეს, რომლისთვისაც საჭირო არ იქმნება ფილტრებით. ბ-ნ ნაზაროვის აზრით, წყლისაყვანისათვის უდიდეს უბედურებას შეადგენს სწორედ ეს ფილტრები, რომელიც არა თუ აუმჯობესებს წყლის ღირსებას, პირიქით, კიდეც აფუჭებს: ათასგვარ ორგანიულსა და არა ორგანიულ მიკრობებს აჩენს და სრულიად სუფთა, სად წყალსაც კი სასმელად უვარგისად ხდისო. ამასთან ბ-ნმა ნაზაროვმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ფილტრების შენახვა ძლიერ ძვირად დაუჯდება ქალაქს. ამიტომ საბჭო არ უნდა აუჩქარდეს იმის გადაწყვეტას, თუ რომელი წყლით ისარგებლოს, არამედ ხელახლად დაათვალიეროს სპეციალისტების თანადასწრებით ის წყაროები, რომელიც უკვე დაუთვალიერებია სპეციალისტების კომისიას ამ ათიოდე წლის წინად. ორი უმთავრესი წყარო, „ფაცრის წყალი“ და „დრუდ“. რომელნიც ქუთაისიდან 10-11 ვერსის მანძილზე მდებარეობენ, ბ-ნ ნაზაროვის აზრით (რომელიც ემყარება გეოლოგ სიმონოვიჩის გამოკვლევას), მისცემს ქალაქს 400-450 ათას ვედრო წყალს დღე-დამეში, რაც არა თუ დღეს, 30—40 წლის შემდეგაც საკმაო იქმნება ქუთაისისთვის.

ბ-ნ ნაზაროვის აზრის წინააღმდეგ ილაპარაკეს ბ. პ. მოსეშვილმა. დ. ნ. აბდუშელიშვილმა, გ. დ. ნასარიძემ, პ. ი. გოკიელოვმა, ი. გ. ჩიმაკაძემ და სხვებმა. ისინი თუმცა ეთანხმებოდნენ ბ-ნ ნაზაროვს, რომ წყაროს წყალი რიონის წყალზე უკეთესია ღირსებით, მაგრამ მილისთვის უპირატესობას აძლევდენ რიონის წყალს შემდეგის მოსაზრებით: ქალაქის მახლობლად არ არის წყაროები, რომელსაც შეეძლოს ქალაქს საკმაო წყალი მისცეს (ემყარებიან გეოლოგის კონრადისა და სამთო ინჟენრის მიხაილოვის გამოკვლევებს). „ფაცხის წყალსა“ და „დრუდის“ წყლებიც წვიმების დროს იმღვრევა და უფილტროდ არ დაილევა; წყაროს წყლის გამოყვანა ბევრად უფრო ძვირად დაჯდება, ვიდრე რიონის წყლისა. შეიძლება, წყაროები გაიპარონ, დაშრეს და მთელი წყლისაყვანი, რომელზედაც ასი ათასობით უნდა დაიხარჯოს ფული, დაიღუპოს.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, კრებამ მიიღო შეერთებულ კომისიის ზემოდ მოყვანილი დასკვნა (ამის წინააღმდეგი იყო მხოლოდ დ. ა, ნაზაროვი). ამასთანავე საბჭომ დაავალა გამგეობას, შეჰკრიბოს ცნობები გრაფის დროგოიოვსკის შესახებ, შეუძლიან თუ არა, ივისროს წყლის გამოყვანა.

სხვა და სხვა სანოვაგით დატვირთული აქლემი. აუშვერია მაღლა თავისი უშნო თავი და მიბაჯბაჯებს უშნოდ.

გავიარეთ რამდენიმე ვერსი, ბალებიც გათავდა, და დაღმართს მივადექით. ჩვენგან სამხრეთით გაიშალა უკვე ნაცნობი თვალ-უწვდენელი ველი. ბაღებიდან გამოსული წყალი შხუილით მირბოდა დაღმართზე, გზატკეცილის გვერდით, დაბლობზე მარცხნივ უხვევდა და ხშირ ჭალაში იკარგებოდა. წყალი საკმაო იყო, ორ თვალ წისქვილს თამამად დაატრიალებდა. ამ დაბლობზე ჩრდილოეთით საკმაო ფართო, ხელის გულივით სწორი ველი ძევს, ირგვლივ ხრიოკი გორაკებით შემოზღუდული. ეს ველი ამომშრალ ტბის ძირი უნდა იყოს. საშინლად მწირი ადგილია, სულ პატარა კენჭებითაა მოფენილი და თუმცა აქა-იქ ბალახი ამოსულა, მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი არსად სჩანს. ვერსად ვერ მოვკარი თვალი ვერც ცხვარს, ვერც რამე შენობას. სივრცით ეს ველი რამდენიმე ათასი დღიური იქნება.

— კაცო, აქ რატომ არა სთესია რამე, არც მოსახლეობაა?—დავეკითხე მეეტლეს.

— წყალი არ არის!—მოგვიგო დამტვრეულის რუსულით დაღვრემილმა და ბუნებით უხალისო მეეტლემ.

გაუარეთ კიდევ რამდენიმე ვერსი და მივადექით საკმაო დიდ სოფელს პარაკარს. აქ სურათი ისევ გამოიცვალა. ამ სოფელში ბაღებიც არის, წისქვილიც. ხშირად ორ-ორ სართულიან თლილ ქვის სახლსაც შეჰხვდები. სოფელში უმრავლესობა სომხობაა, თუმცა თათრებიც არიან. ერთ ალაგას შევნიშნე პატარა, მაგრამ სუფთა შენობა—სოფლის სასამართლო. იმის მახლობლად შევამჩნიე თუმცა ძველი, მაგრამ საკმაოდ დიდი ქვის შენობა,—ეს იყო, სამინისტრო სასწავლებელი. სოფელი ბაღ-წალკოტებშია ჩაფლული. გზატკეცილი სოფლის შუა გულზე გადის. დღესასწაულის გამო ხალხი ქუჩაში იყო გამოფენილი. ზოგს გვარიანად სუფთად ეცვა, მაგრამ საერთოდ ეტყობა მაინც და მაინც ჩაცმა დახურვას არ მისდევენ. სახეზე ყველას რაღაც მოწყენა ეტყობოდა. არც სიმხიარულე, არც ცეკვა თამაში. ისხდენ ისე, ჯგუფ-ჯგუფად, თითქო ეს არის სასაფლაოდან დაბრუნებულან მიცვალებულის გასვენების შემდეგო. წარმოიდგინეთ ბავშებიც-კი არა ცელქობდნენ. ამ სოფლიდან გზა ვაკეზე მიდის. მე სულ დაკვირებით წინ ვიყურებდი. სულ იმას ვაკვირდებოდი, მოსჩანდა თუ არა ეჩმიაძინი, მაგრამ ვერაფერს ვარჩევდი. ჩემ წარმოდგენაში ეჩმიაძინი მაღლობზე უნდა ყოფილიყო და ამიტომ უფრო ჩრდილოეთისკენ, საიდანაც მტრედის ფერი გორაკები მოსჩანდა, მეჭირა თვალი.

— ამდენი გავიარეთ და მაინც არა სჩანს, სად არის ეჩმიაძინი?—ვუთხარი მეეტლეს.

— ვაჰარშაპატ? აუჩქარებლად წარმოსთქვა მეეტლემ დახელი წინ გაიშვირა.

დავაკვირდი. ჩემ თვალ წინ, სივრცეში, ტრიალ მინდვრის ბოლოს რაღაც კოშკვით შევამჩნიე, ცოტა მოშორებით, დასავლეთის მხრივ ალვის ხეები და რაღაც შენობანი, მათ შორის მოწითანო გუმბათიც მოსჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეჩმიაძინს მივუახლოვდით. **უიარაღო.**

სიტყვა

თქმული ა. მდივნის მიერ ვლ. ლორთქიფანიძის საფლავზე.

ალარა გყევხარ, ძვირფასო მეგობარო. შენის სიცოცხლის უკანასკნელმა წუთმა საოცარის სისწრაფით გაირბინა... შენი შემხუთველი სასტიკი სენი სწრაფად მოქმედებდა... შენც და ჩვენც ნათლად ვხედავდით მოახლოვებას შენის სიკვდილისას, დასასრულს ახალგაზრდა სიცოცხლისას. მაგრამ ამ სიკვდილს ჩვენ მწუხარებით და აღშფოთებით ველოდებოდით, შენ კი—ისეთის სიმშვიდით, როგორც მხოლოდ ფილოსოფოსს შეჰფერის. ეს დამშვიდებული მდგომარეობა, სულიერი სიმშვიდე უკანასკნელ საათამდე შეგრჩა. ყველაზე უფრო ის გაწუხებდა, რომ შენი სიკვდილით უნდა დაგეობლებინა საყვარელი ადამიანები და მასთან სამუდამოდ დაგეკარგა უნარი გეცოცხლა და გეშრომა საზოგადოების სასარგებლოდ.

შენი ხან-მოკლე ცხოვრება—ცხოვრებაა ჩვენი მრავალ-ტანჯულ საზოგადოებისა. როგორც ის, ისე შენც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ დამდურებიხარ ბედის ტრიალს, არ გაჯავრებულხარ და არ დაგიგმია მისი თანაგრძნობა და ღიმილი.

სამშობლო ერის უკანასკნელ ხანის გაჭირვების მონაწილე, შენ თამამად და კეთილშობილურად მიდიოდი შენს სამწუხარო ნავთ-საყუდელში და ძალიან კარგად არჩევდი პრაქტიკულის მოსაზრებას თეორიულისაგან. იმაზე, რაც შენ პრაქტიკულად ცუდად და უხერხულად მიგაჩნდა, შენ ყოველთვის სჯიდი სწორედ და ფხიზლად.

ხშირად იტყოდი ხოლმე, პრინციპები შეიძლება უარჰყოს კაცმა, ხოლო გამოცდილებით შეძენილი ფაქტების უარყოფა კი შეუძლებელიაო, გონების გაბურუსიანება შეიძლება, გარეგან გრძნობის კი არაო. როგორიც უნდა იყოს სისტემა, მისი უარყოფა, დაწუნება ადვილია, მაგრამ რას ეტყვით ადამიანის კანის გრძნობიერებას, როცა იგი სიცივეს თუ სიცხეს, სინესტეს თუ სიხმელეს ჰაერისას განიცდისო. თუ გვინდა, ხელი შევუწყოთ კაცთა ბედნიერების წარმატებასო, მეტი უნდა ვილაპარაკოთ ცხოვრების მოვლენებზე, ვიდრე იმის კანონებზე. ცოცხალ ადამიანის აგებულება მხოლოდ მიცვალებულის გვამის გამოკვლევით იცნობების. ნება გვიბოძეთ, ტვირთ-მძიმეთ შევუმსუბუქოთ სუნთქვაო. და ტვირთმძიმეთათვის სუნთქვის შემსუბუქება იყო დედა-აზრი შენის მოღვაწეობისა. ამიტომ შენ ლაპარაკობდი უფრო ხშირად ხალხის გაჭირვებაზე, ვიდრე იმის უფლებებზე, უფრო ცხარედ სახელმწიფოს მმართველობაზე, ვიდრე სახელმწიფოს წეს-წყობილების ფორმებზე, უფრო მეტს მოქალაქობრივ ცხოვრების ყოველ-დღიურ ჭირ-ვარამზე, რაც ქალაქად და სოფლად ხდებოდა, ვიდრე საკანონმდებლო პრინციპებზე... შენ გსურდა გენახეთ ჩვენ თავისუფალ ქართველებად, შენ გინდოდა ვვვანებოდით ჩვენ ჰაერს, შორს ვყოფილიყავით დამაუძლურებელ გენიასა და გამთიშველ სუსხისაგან, რათა მამაცობა შეერთებულიყო ჩვენში სიყვარულს და ძლიერება—მშვენიერებას. შენ გსურდა ვყოფილიყავით დინჯი ქართველები, მშვიდნი; არ მივსცემოდით ამ ქვეყნად ჩლუნგს სასოწარკვეთილებას და არც ცვილის ფრთებით მოგვენდომა მზისაკენ აფრენა... შენ გინდოდა, რომ ჩვენ ყველანი ვყოფილიყავით ძლიერნი და შენის მკერდიდან ამოდიოდა გულის შემძვრელი, წრფელი ბგერა სალის პატრიოტულ გრძნობისა; ამოდიოდა ვით მოკრძალებული აღსარება, რომელსაც ადამიანი ვერ დამალავს თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში და რომელიც უფრო ქვითინია, ვიდრე სიტყვები... და ყველა ამასთან შენ გწამდა საერთო ძმობა და თანასწორობა; ვიწრო ნაციონალური იდეა შენთვის საცოდავი რამ აზრი იყო... საჭირო იყო ძლიერი ხასიათი, საჭირო იყო ნიჭიერება, რომ დაგვეცვა თუნდაც აჩრდილი თავისუფლებისა და თავ-შეკავებისა იმ დაბრკოლებათა შორის, რითაც შენ იყავი გარემოცული და გექადაგნა ჭეშმარიტება იმ საშინელ ღრიანცელსა და ცეცხლში, რასაც უფიცთაგან განვიცდიდით... შენს ტანში იდგა სული, თანაგრძნობით აღგზნებული ყოველ კარგისადმი, მწუხარე ყოველ ცუდის ნახვით და მებრძოლი ხალხის წმინდა საქმისათვის...

შენ ყოველთვის მზად იყავი ყოველ ტანჯვისთვის, მზად იყავი მოთმინებით აგეტანა ყოველი წამება... სათნოების ემბლემა, რომელიც შენ შეიმუშავე, გამოსახული იყო შენ ცრემლ ქვეშ მომღიმარე სახეზე იმ ხატებად, რომლითაც აფრთოვანებული იყო შენი ღრმა გრძნობა... შენ ყოველთვის და ყველესთან თავმდაბალი და სათნო ადამიანი იყავი... და ჩვენც, აღვსილნი წრფელის სიყვარულით და ღრმა გლოვით, მოვედით შენთან, ძვირფასო მეგობარო, რათა უკანასკნელი „მშვიდობით“ გითხრათ და მოწიწებით ვემთხვიოთ შენს წმინდა ცხედარს!

მშვიდობით, დაუვიწყარო მეგობარო და კეთილშობილო მოღვაწე ადამიანო!..

ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო

გუშინ რედაქციამ მიიღო კიდევ შემდეგი დეპეშა და წერილები ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო:

ჭიათურიდან: მხურვალედ ვტირით ნიჭიერის და ენერგიით სავსე მოღვაწის, დაუვიწყარ ვალოდიას უდროოდ დაკარგვის გამო. ექიმი სიმონ ჯაფარიძე.

ევპატორიიდან: ღრმად შემაწუხა ძვირფას მეგობრის, მშვენიერის ადამიანის, უანგარო და ენერგიულ მუშაკის გარდაცვალებამ. არ შემიძლიან სიტყვით გამოვთქვა ჩემი მწუხარება. მისი ხსოვნა არასოდეს არ წაიშლება ჩემს გულში.

ნინო ზურაბიშვილისა.

ქვიშხეთიდან: ქვიშხეთელმა მეგობრებმა და თაყვანისმცემლებმა დაუვიწყარის ვალოდიასი გადაიხადეს პანაშვიდი და აცხადებენ უზომო მწუხარებას ერთ საუკეთესო ქართველის დაკარგვის გამო.

ხარაჯიშვილი, ციმაკურიძე, გერ. ციმაკურიძე, გვერდწითელი, ნინო და კოტე ყიფიანები, ვაჩნაძე, ამბაქაძე, ლევან ივანეს ძე ყიფიანი, კოტე ხ ვანელი, მზატვარი ციმაკურიძე, თამარა ჯაფარიძისა და ლუარსაბ ყიფიანი.

ქუთაისიდან: სიტყვით ვერ გამოგვითქვამს ღრმა მწუხარება დაუვიწყარის ვალოდიას დაკარგვის გამო. ქართველი საზოგადოება მასში კარგავს სპეტაკ საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც მთელი თავისი მოკლე სიცოცხლე შესწირა ბოროტებასთან ბრძოლას. დავით კლდიაშვილი და დავით ავალიანი.

იქიდანვე: ნება გვიბოძეთ ჩვენი ღრმა მწუხარება გამოვთქვათ დაუვიწყარ ვლ. ლორთქიფანიძის უდროოდ გარდაცვალების გამო. ჩვენმა ქვეყანამ დაჰკარგა საუკეთესო საზოგადო მოღვაწე და სალიტერატურო ასპარეზზე მუშაკი.

ვასილ წერეთელი და ტიტე
ართმელაძე,

ყვირილიდან: ვწუხვართ ნიჭიერ მოღვაწის ვლადიმირ ლორთქიფანიძის გარდაცვალებას.

ქ. მ. წ.-კითხ. ყვირილის განყოფილება

სპარსეთის ამბები

თეირანისა და სალთანაბადის აღება.

სპარსელ რევოლიუციონერების გალაშქრება თეირანზე ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა: მათ აიღეს შაჰის საზაფხულო რეზიდენცია სალთანაბადი და სატახტო ქალაქი თეირანი.

„ტიფ. ლ“-ის კორრესპონდენტი ესე აწერს ამ გამარჯვებას:

სეპეხდარმა და სარდალ-ასადმა იერიში მიიტანეს თეირანზე, ეფრემმა სალთანაბადზე.

შაჰის ყაზახთა ბრიგადა სამ ნაწილად გაყვეს და ინსტრუქტორ-აფიცრების (ესე იგი რუს-აფიცრების, რადგან სპარსელ ყაზახთა ინსტრუქტორებად სულ რუსის აფიცრები არიან) უფროსობის ქვეშ გაგზავნეს: ერთი ნაწილი ეფრემის წინააღმდეგ, ერთი—სეპეხდარისა და სარდალ-ასადის წინამღმდეგ, ხოლო მესამე იცავდა წესიერებას თეირანში.

ჯერ კიდევ 27 ივნისს დაიწყო ბრძოლა იფტაბადთან (თეირანს ახლო) გასტანა 28 და 29 ივნისს.

რევოლიუციონერებმა მედგარი იერიში მიიტანეს სალთანაბადის მაგარ პოზიციაზე და თეირანზე. თეირანის ნაწილი უკვე 29 ივნისს გადავიდა მათ ხელში.

სალთანაბადი დიდის ბრძოლის შემდეგ აიღეს რევოლიუციონერებმა. სალთანაბადის დამცველთა უმეტესობამ, როცა დაინახა, რომ გამარჯვება რევოლიუციონერებს რჩებოდათ, მათ მხარეს გადავიდა. ამ გამარჯვებამ გადასწყვიტა თეირანის ბედიც.

რევოლიუციონერებმა ხერხიანად ისარგებლეს გამარჯვებით. 29 ივნისს ღამით თეირანის განაპირი უბნები დაიჭირეს და ძლიერი იერიში მიიტანეს სატახტო ქალაქზე, რომლის ბედი დამოკიდებული იყო ყაზახთა ბრიგადის ერთგულებასა და მედგრობაზე. ეს ბრიგადა სულ თეირანში იყო თავმოყრილი. გაჭირვების წამს ბრიგადა გადუდგა შაჰსა და თავის აფიცრებს და რევოლიუციონერებს მიემხრო.

30 ივნისს რევოლიუციონერები სამ რაზმად შევიდნენ თეირანში და დილის 11 საათამდე მთელი სატახტო ქალაქი მათ ხელში გადავიდა. რევოლიუციონერების მეთაურებს ხალხმა დიდი ოვაციები გაუმართა. რა მოუვიდა შაჰსა და სად იმყოფება იგი ამ ჟამად, სწორედ არ იციან. ჰფიქრობენ, რომ მან ერთს საელჩოში მოასწრო დამალვაო.

თეირანსა და სალთანაბადში სამაგალითო წესიერება სუფევს.

გამარჯვებულმა რევოლიუციონერებმა [illegible] აიღეს: [illegible] მსროლელი ზარბაზნები, ტყვის მტყორცნელები და არსენალი“.

ახალი შაჰი.

ტფილისში კერძო ცნობა მიიღეს, რომ რევოლიუციონერებმა ენჯუმენების თანხმობით მამედ-ალი-შაჰი ტახტიდან ჩამოგდებულად გამოაცხადეს და მის ნაცვლად სპარსეთის შაჰად გამოაცხადეს ბახტიარების ხანი სარდალ-ასადი. ახალ შაჰს ერქმევა ასად-ჰუსეინ-ხანი. ახალ შაჰს უკვე პროკლამაცია გამოუცია სპარსეთის ხალხისადმი.

რამდენად მართალია ეს ცნობა, არ ვიცით.

სარდალ-ასადი დიდ ხანს ცხოვრობდა საფრანგეთსა და ინგლისში, კარგად შეისწავლა ევროპიული წესები და გულწრფელი მომხრეა კონსტიტუციონურ მმართველობის. იგი ბეჯითი მონაწილეობას იღებდა სპარსულ მწერლობაში. სხვათა შორის მან გადათარგმნა სპარსულ ენაზე ა. დიუმას რომანი „მარგარიტა გო-

[illegible] 1865 წელს [illegible] წლის [illegible]

ბახტიარები.

საზოგადოდ ბახტიარები და კერძოდ მათი [illegible] მა ხანში სარდალ-ასადმა დიდი როლი შეასრულეს სპარსეთის რევოლიუციაში. ვინმე სპარსელი შემდეგს სწერს ბახტიარებზე გაზ. „გოლ. მოსკვი“-ში.

„ბახტიარების ტომი უხსოვარ დროიდან ცხოვრობს სპარსეთში. ამ ტომმა პირველად გამოიჩინა თავი და სახელი მოიპოვა ასე 350 წლის წინად, როდესაც სპარსეთი ეომებოდა ოსმალეთს. ამ ომის დროს ბახტიარებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს და დიდი სახელი მოიპოვეს. მათი თავგანწირულ მამაცობის წყალობით,—ბახტიარები ყოველთვის პირველ რიგში იბრძოდნენ,—სპარსეთის მაშინდელმა შაჰმა იზმაილმა სძლია ოსმალეთს. როდესაც ერთი-ერთი გამარჯვების შემდეგ ბახტიარების ხანი მივიდა შაჰ-იზმაილთან, შაჰმა დიდი მადლობა გადაუხადა მას და უთხრა: „ბახტიარი-ტიარი“, ესე იგი ბედმა გასწყალობა. ჩანს აქეთ დარქმა ამ ტომს „ბახტიარი“-ო, ამბობს სპარსული ლეგენდა.

ბახტიარების ტომმა მეთვრამეტე საუკუნეში დიდი შემწეობა აღმოუჩინა აგრეთვე განთქმულ ნადირშაჰს. ერთის სიტყვით, ბახტიარები ყოველთვის ერთგულნი იყვნენ შაჰებისა და დიდ დახმარებას უწევდნენ მათ.

ბახტიარები ცხოვრობენ სპარსეთის სხვა და სხვა ოლქებში, ხოლო უმთავრესი მათი საცხოვრებელი არის—ფარსისტანი, სადაც მათ დიდი ადგილი უჭირავთ ქალ. შირაზს ახლო. მათი საცხოვრებელი განთქმულია თავის კარგი ჰავით, ნაყოფიერებით და სიმდიდრით. ბახტიარები უმთავრესად საქონლის კოლას მისდევენ და ძლიერ უყვართ მეომრობა. მეომრობაში იჩენენ დიდ სიმამაცეს და ამტანლობას. ყოველი ბახტიარი, ვინც უნდა იყოს იგი, უბრალო მწყემსი, თუ მისი მეთაური, კარგად ხმარობს თოფსა. თავისუფალ დროს მათი საყვარელი გართობა არის—თოფის სროლა მიზანში. რაღა თქმა უნდა, ბახტიარები ყველანი მშვენიერი ცხენოსნები არიან.

ბახტიარებს ბევრი კარგი თვისება აქვთ: ისინი არიან პატიოსანი და დიდი სტუმართ-მოყვარენი. მათი სტუმარი იშვიათად წავა ცარიელი ხელით, უსაჩუქროდ. ბახტიარი უკანასკნელ ლუკმას არ დაიშურებს სტუმრისთვის. ბახტიარები სცნობენ და ემორჩილებიან მხოლოდ თავიანთ წინამძღოლს, რომელიც თავის მხრივ ემორჩილება მარტო შაჰს.

ასე 50 წლის წინად ბახტიარების უფროს ხანად, ანუ მეთაურად იყო განთქმული ჰუსეინ-გული-ხანი, მამა ბახტიარების ამჟამინდელ განთქმულ ხანის სარდალ-ასადისა. 1882 წელს ჰუსეინ-გულ-ხანი სპარსეთის მაშინდელ შაჰის ნასრედინის ბრძანებით მოჰკლეს ქალ. ისპაჰანში.

საქმე ასე იყო: ემრანდელ შაჰის პაპის ნასრედინის დროს, ქალ. ისპაჰანის გუბერნატორად დანიშნეს მისი ბიძა პრინცი ფერხად-მირზა, განთქმული თავის მექრთამეობით. ერთხელ მან გაიარა იმ ოლქზე, სადაც ბახტიარების სარდალი ცხოვრობდა. ხანმა [illegible] რომ სარდალ-ჰუსეინ-გულ-ხანი დიდის ამბით [illegible] „[illegible]“ მოართვა, მაგრამ [illegible] რაღაც მცირე [illegible] გამოუგზავნა გუბერნატორს.

ეს ძლიერ ეწყინა ფერხად-მირზას. თავის ქალაქში დაბრუნების უმალ მან შაჰთან დაიბეზღა სარდალი: ბახტიარების ხანი ტახტიდან ჩამოგდებას [illegible] და თუ ჩქარა ზომებს არ მიიღებთ [illegible] ფერხად-მირზას [illegible] და უბრალოდ ნასრედინ-შაჰმა დაი-

ჯერა რომ ბახტიარების სარდალი მას ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა და მისი მოკვლა გადასწყვიტა.

1882 წელს ქალ. ისპაჰანში ნასრ-ედინ-შაჰის უფროს ვაჟიშვილს ზილი-სოლთანს (ეხლანდელ შაჰის ბიძას) თაოსნობით გაიმართა ჯარის ალლუმი, რომელზედაც დაიბარეს ბახტიარების სარდალი თავის ორი ვაჟიშვილით ისფენდიარ-ხანითა და ასადით. ასადი იმ დროს 17 წლისა იყო.

ზილი-სოლთანე რომელმაც არ იცოდა თავის მამის განზრახვა, ალლუმის დროს დიდის პატივისცემით ეპყრობოდა ჰუსეინ-გული ხანს და ალლუმის შემდეგ თავის სასახლეში მოიწვია იგი. ბოლოს, შაჰის ბრძანებით მან დაატუსაღებინა სარდალი. ზილი-სოლთანს ეგონა, აქ რაიმე შეცდომა იქნება და სარდალს ისევ მალე გაანთავისუფლებენო, მაგრამ შაჰისგან მეორე ბრძანება მოვიდა, სარდალი დაუყოვნებლივ მოკალითო. ზილი-სოლთანე ძლიერ ცდილობდა მის გამართლებას, მაგრამ ამაოდ. მთელი ექვსი საათი ევედრებოდა ზილი-სოლთანე, მაგრამ მაინც ვერ მოალბო შაჰის გული.... ჰუსეინ-გული-ხანი დაახრჩეს და მეორე დღეს გამოაცხადეს, რომ მას გული გაუსქდაო, მაგრამ ხალხმა მაინც მალე გაიგო სიმართლე...

სარდლის უფროსი ვაჟიშვილი ისფენდიარ-ხანი დაატუსაღეს და 7 წლიწადი გაატარებინეს საპატიმროში, ხოლო უმცროსი ძმა ასადი გაანთავისუფლეს. სარდლის დახრჩობის შემდეგ ნასრ-ედინ-შაჰმა მის სამ ვაჟიშვილს (მესამე—სამსამუს სალთანეა) ესეთი მოვალეობა დააკისრა: ერთ-ერთი მათგანი 50 ცხენოსან ბახტიარით რიგ-რიგათ უნდა ყოფილიყო თეირანში და თუ ბახტიარები რაიმე წინააღმდეგობას გაუბედავდნენ შაჰს, თეირანში მყოფი ძმა თავის ცხენოსნებით სიკვდილით დაისჯებოდა. ძმები დასთანხმდნენ ამ პირობას და ნასრ-ედინის სიკვდილამდე ერთი მათგანი ყოველთვის მძევლად იყო თეირანში. ხოლო უმცროსი ძმა ასადი კარგა ხანია გადასახლდა პარიზში და ბოლოს დრომდე იქა ცხოვრობდა...

თეირანის აღება.

გაზ. „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ რეშტიდან: „30 ივნისი, დილის 8 საათი. აქ ცნობა მიიღეს, რომ რევოლიუციონერებმა თეირანი აიღესო“.

სათარ-ხანი მიეშველა რევოლიუციონერებს.

ყაზვინზე გაიარა ძლიერმა რაზმმა, რომელიც სეპეხდართან შესაერთებლად მიდიოდა. ამბობენ, ამ რაზმს სათარ-ხანი უფროსობსო.

მეშედიდან 400 კარგად შეიარაღებული რევოლიუციონერი გაჩქარებით მიდის თეირანისკენ. (ტ. ლ.)

ოსმალეთი

ბერძნები და ოსმალები.

როგორც უკვე ვიცით, ბოლოს დროს მეტად გამწვავდა ურთიერთობა ოსმალთა და ბერძენთა შორის. „რუს. ვედომოსტ“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი დაწვრილებით ასწერს მათ შორის ატეხილს ეროვნულ დავას და თან ხსნის მის მიზეზებს. იგი სწერს:

„გარდამხდა გარდასავალით, ახლა უარეს მოველით“,—ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია ახალგაზდა ოსმალებზე. რამდენიც ახალგაზდა ოსმალეთი თავის დაპირებისა და სურვილის განხორციელებას ცდილობს, მას წინ ეღობება ახალ-ახალი, უფრო ძლიერი და ღრმა დაბრკოლება და გაჭირვება. ახალგაზდა ოსმალეთმა გაიცადა ბოსნია-ჰერცოგოვინის და ბოლგარიის განცალკევება, დათრგუნა კონტრ-რევოლიუცია შიგ ოსმალეთში, მაგრამ ყველა ამ გაჭირვებას მხოლოდ იმისთვის დააღწია თავი, რომ უფრო ახალსა, უფრო რთულსა და ღრმა გაჭირვებაში ჩავარდნილიყო.

ამ გაჭირვებათა შორის თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ ეროვნული საკითხი, რომელიც ბოლო დროს ხელახლად გამწვავდა. ოსმალ-ბერძენთა დიდის ხნის დავა ამ ჟამად სამი მიზეზის წყალობით გამწვავდა.

პირველი მიზეზი ისაა, რომ ოსმალეთის მთავრობა ხელს არ იღებს კუნძულ კრიტეს სუვერენიტეტზე. მეორე—საპარლამენტო კამათიდან ნელ-ნელა გამოირკვა, რომ ახალგაზდა ოსმალები ცდილობენ იმ პრივილეგიების შემცირებას, რომლითაც სარგებლობენ არამუსულმანთა საეკკლესიო მრევლები. მესამე —მთავრობა კონსტიტუციის დროს უფრო მტკიცედ და მაგრად ეკიდება ყოველ საქმეს და სასტიკად იქცევა, სინამ აბდულ-ჰამიდის ანარქიის დროს და ამ ჟამად სხვა და სხვა ადგილებში უფრო ხშირად მოხდება ხოლმე უთანხმოება და უსიამოვნება მთავრობის აგენტებსა და არა ოსმალთა შორის, მეტადრე ბერძენთა და ოსმალთა შორის.

ეს ეროვნული კონფლიქტი თანდა-თან ძლიერდება და საქმეა, რომ მისი შეჩერება შეუძლიათ კერძო პირებს, რადგან მას ჰბადებენ და ასაზრდოვებენ ღრმა ეროვნული ინტერესები.

მართლაც და ოსმალეთის მთელი ბერძნობა თანაუგრძნობს კუნძულ კრიტეს შეერთებას საბერძნეთთან, რადგან ეს შეერთება ბერძნებს მიაჩნიათ პირველ ნაბიჯად. კრიტეს მიჰყვება არხიპელაგის სხვა კუნძულები, თესალია და სამხრეთი მაკედონია, მერე მცირე აზიის ნაპირებიც. ოცნება დიდ საბერძნეთზე ცოტა თუ მაინც განხორციელდება და იქნება იმ დროსაც მოვესწროთ, როდესაც აია-სოფიის დიდებულ ტაძარზე ისევ ჩვენს ზარებს დავრეკთო,—ოცნებობენ ბერძნები. მაგრამ ოსმალეთს, რომელმაც მოინელა ბოსნიის და რუმელიის (ბოლგარიის ნაწილის) განცალკევება, სწორედ ამიტომ არ შეუძლიან დათმობა კრიტეს საქმეში, რადგან ეს საქმე მისთვის შინაგანი საქმეა და არა გარეშე. ეს ყველას ესმის აქა და ამიტომ პრინცის კუნძულების მცხოვრები—ბერძნები, როდესაც უყურებენ ოსმალეთის ესკადრას, რომელიც კუნძულებთან შეიკრიბა საძლეუმოდ, აშკარად ამბობენ:

— ამ ესკადრას ჩვენთვის ამზადებენო.

ამდენადვე სერიოზულია ქრისტიანთა საეკკლესიო მრევლების პრივილეგიების საკითხიც. იმ ქვეყანაში, რომელსაც ჰმართავდნენ შარიატის ძალით, თეოკრატიულ სახელმწიფოში, პირდაპირ აუცილებელი იყო, რომ არა მუსულმანთა მრევლებს მინიჭებული ჰქონოდა არა თუ მარტო საეკკლესიო, არამედ თითქმის პოლიტიკური ავტონომიაც. ძველ ოსმალეთში სკოლასაც ნამდვილი საეკკლესიო ხასიათი ჰქონდა და მუსულმანთა სამოქალაქო ურთიერთობაც საეკკლესიო კანონით იყო განსაზღვრული. ამიტომ არამუსულმანთა ეკლესიებს აუცილებლად უნდა მისცემოდა უფლება თითონ მიევლოთ თავიანთ სკოლებისთვის, რომლებიც უწინ სულ საეკლესიო იყო; ამასთანავე უნდა მისცემოდათ იურიდიული უფლება საეკლესიო, საოჯახო და სხვა საქმეებში. მართლაც და ამ გზით ქრისტიანთა ეკლესიის მეთაურებმა და მრევლებმა მოიპოვეს „პრივილეგიები“, ხოლო ამ პრივილეგიების წყალობით ახალგაზდა ოსმალებს ამ ჟამად წინ უდგა მოპირდაპირედ კარგად მოწყობილი, ძლიერი ეროვნულ-სარწმუნოებრივი კავშირები. ასეთია, მაგალითად, ბერძენთა პატრიარქატი და ბოლგართა ეკზარხატი.

ახალგაზდა ოსმალებმა არ გააუქმეს ეკლესიათა მრევლების სასკოლო ავტონომია, მაგრამ მაინც გადასწყვიტეს—არა მუსულმანთა სკოლა სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებაროს. მათ კონსტიტუციაში შეიტანეს მე 16 მუხლი, რომელიც ამბობს: სკოლა თავისუფალია კანონის ფარგლებშიო; ხოლო პარლამენტში კამათიდან გამოირკვა, რომ სასკოლო კანონის თანახმად სკოლების პროგრამა უნდა დაამტკიცოს მთავრობამ, და საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება ოსმალურს ენაზე იქნებაო.

რაღა თქმა უნდა, რომ მთავრობის კონტროლი, რაც უნდ ლიბერალურ კანონის ძალით იყოს იგი დაწესებული, ფეხზე დააყენებდა სხვა და სხვა ერს. მართლაც და პარლამენტსა, პრესასა, ეროვნულ საბჭოებსა და პატრიარქატებში სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი მედგრად ამხედრდნენ ამ კანტროლის წინააღმდეგ. კამათი თან და თან გამწვავდა და გაფართოვდა.

— კონსტიტუციამ არ უნდა შეამციროს ის უფლებანი, რომელთა წინააღმდეგობას ვერა ჰბედავდა თვით აბსოლიუტიზმიო,—ამტკიცებენ სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი.

— კონსტიტუციონური წესწყობილება გულისხმობს მოქალაქეთა თანასწორ უფლებას და თანასწორ მოვალეობას და აუქმებს პრივილეგიასო,—ამტკიცებენ ახალგაზდა ოსმალები.

ეროვნულ საქმეებზე კამათმა ისე გაამწვავა ურთიერთობა ოსმალთა და ბერძენთა შორის, რომ ყოველ უბრალო შემთხვევას შეიძლება მოჰყვეს დიდი აურ-ზაური. ასე, მაგალითად, აივალში კინაღამ აჯანყებამ არ იფეთქა და ამ ჟამად იქ გამოაცხადეს საალყო წესები. იმის შემდეგ, კავალაში, ავსტრიის კონსული რომ არ ჩარეულიყო საქმეში, ნამდვილად დიდი ჩხუბი გაიმართებოდა ბერძენთა და ოსმალთა შორის.

ბერძენთა მრავალი რაზმი მოდის საბერძნეთიდან თესალიასა და მაკედონიაში.

— ოსმალეთი ან თავს გაუქექყავს ბერძენთა რაზმებს, ან არა და თითონ დაიღუპება, მაგრამ მათ სეპარატისტულ აგიტაციას-კი ვმოითმენს, უთხრა შევკეთ-ფაშამ ბერძნის პატრიარქს.

მისმა უწმინდესობამ ვერ აიტანა ესეთი შეურაცხყოფა, და გესლიანად მიუგო შევკეთ-ფაშას:

— მადლობას მოგახსენებთ, ფაშავ, დიდ მადლობას მოგახსენებთ.

პატრიარქმა დაუყოვნებლივ გამოაცხადა ბერძნულ გაზეთებში, რომ ასეთ „მუქარის“ გამო პატრიარქი იძულებული იქნება გარეშე სახელმწიფოებს სთხოვოს მფარველობა და დახმარებაო.

ამნაირად დღე და დღე უარესად იხლართება ეროვნულ საკითხის კვანძი, მწვავდება ეროვნული ურთი-ერთობა და ქარწყლდება ახალგაზდა ოსმალთა ოცნება, რომ „ოსმალეთში კონსტიტუციის ჩრდილს-ქვეშ ოტომანთა ერთიანი ერი დაარსდებაო.

ეს ოტომანთა ერი არ არსებობს და ალბად არას დღესაც არ დაარსდება. იმ გზას, რომელსაც ადგანან ოსმალები და ბერძნები, უარეს განხეთქილებისკენ მიჰყავს ორივე ერი და არა ერთობისკენ“.

აბდულ-ჰამიდის ფული.

ამერიკელმა ფინანსისტებმა გამოუცხადეს ოსმალეთის მთავრობას: თუ ჯილდოდ 10 პროცენტს მოგვცემთ, ჩვენ გასწავლით სადაც ინახება აბდულ-ჰამიდის ფულიო.

ჩინეთის საომარი მზადება

გაზ. „ნოვ. რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან: „აქ ცნობა მიიღეს, რომ ქალ. მუკდენში განუწყვეტლივ მოდიან სამხედრო მატარებლები დატვირთულნი ზარბაზნებითა და ყუმბარებით. მოვიდა აგრეთვე ჩინელ ქვეითა ჯარის რამდენიმე დიდი რაზმი და 15 ესკადრონი ცხენოსანი ჯარი, საზოგადოთ მუკდენში 22 ათასი ჩინელი ჯარისკაცი მოვიდა ახლად.

ხარბინში საიდუმლოდ ადევნებენ თვალყურს ყველას, ვინც რუსეთიდან მოდის. საზღვარზე ყველგან გაძლიერებული ჩინელები საჩქაროდ აშენებენ ახალ სიმაგრეებს და ასწორებენ ძველებს; ყიდულობენ საკვებ სურსათსა, თივასა და სხვა.

ამბობენ: ჩინეთის ასეთს სამხედრო მზადებას კავშირი აქვს სპარსეთის ამბებთანაო.

რუსეთი

◆ **გაზეთის დაჯარიმება.** „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ბრძანებით 300 მანეთით დაუჯარიმებიათ გაზეთ „რეჩი“-ს რედაქტორი. მიზეზი ის არის, რომ „რეჩ“-ში დაიბეჭდა წერილი. რომელშიაც ეხებოდნენ იმ ამბებს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს „ბილოეს“ რედაქტორმა ბურცევმა გამოაქვეყნა რუსეთის პარიზელ საიდუმლო პოლიციის უფროსის გარტინგის შესახებ.

◆ **მუკდენი.** ხარბინიდან „რეჩ“-ს ატყობინებენ: „მუკდენიდან იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს განუწყვეტლივ მოდის სამხედრო მატარებლებით. მატარებლებს მოაქვთ სამხედრო მასალა და გადმოჰყავთ ჯარი. სულ ამ უკანასკნელ დროს გამოვიდა 22,000 ქვეითა და ცხენოსანი ჯარის კაცი. რუსეთიდან ჩამოსულებს სასტიკად ადევნებენ თვალ-ყურს. მოსაზღვრე ადგილებში გაცხარებული მუშაობაა: აგებენ ახალ სიმაგრეებს, ძველებს ამაგრებენ და სხვა. ამას გარდა მოაქვთ აუარებელი სურსათი.

◆ **მუშათა პროფესიონალური კავშირები მოსკოვში.** „რეჩის“ სიტყვით, მოსკოვის მუშათა პროფესიონალური კავშირები დიდ კრიზისს განიცდიან. 1909 წლის პირველ მარტს მოსკოვში ყოფილა სულ 32 პროფესიონალური კავშირი, ამ კავშირში წევრებად ითვლებოდა 41,566 კაცი, ე. ი. მოსკოვის მუშების 16,7%. პირველ ივლისს 20 კავშირი-ღა დარჩენილა. მათში წევრებად ითვლება 7,000 მუშა. ამრიგად ოთხი თვის განმავლობაში მოსკოვის მუშათა პროფესიონალურ კავშირების რიცხვს 12 კავშირი დაჰკლებია, კავშირებიდან გამოსულა 34,566 მუშა!!

◆ **დიდი სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტები.** ეხლა-ხან გამოვიდა გერმანული საზღვაო წიგნი „ნაუტიკუს“. ამ წიგნში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ დიდი სახელმწიფოები რამდენს ხარჯავენ ჯარზე და ფლოტზე. მოვიყვანთ მოკლე ცნობებს. ფლოტზე ხარჯავენ:

ინგლისი . . .	359	მილიონ	მან.
შეერთებ. შტატები	290	„	„
გერმანია . . .	200	„	„
საფრანგეთი . .	146	„	„
რუსეთი . . .	93	7	„
იაპონია . . .	72	„	„
იტალია . . .	64	„	„
ავსტრია . . .	27	„	„

ამ რიგად 8 დიდი სახელმწიფო ფლოტზე წელიწადში ხარჯავს 1200 მილიონ მანეთს. ამას მიუმატოთ ის 2000 მილიონ მანეთი, რომელიც ხმელეთის ჯარზე იხარჯება და მიიღებთ 3200 მილიონ მანეთს, რაიც ამ 8 სახელმწიფოს მთელი ბიუჯეტის თითქმის ერთ მესამედს შეადგენს!!

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში 2, მოსკოვში 3, ტაშკენტში 2, პეტერბურგში 1, კამენეც-პოდოლსკში 1, ორიოლში 1, უფაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: კიევში 1, მოსკოვში 2, ვარშავაში 1, რიგაში 1, იურიევში 2, სამარაში 1 კაცი.

◆ **ტანის, ტესლენკოს და სხვების საქმე** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის წევრებისთვის სხვათა შორის სამართალში მისცეს ცნობილი მწერალი ტანი (ბოგარაზი) და სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ტესლენკო და სხვები. მოსკოვის სამოსამართლო პალატამ ესენი გაამართლა პალატის პროკურორმა სენატში განასაჩივრა პალატის ეს გადაწყვეტილება. რუსეთის გაზეთების სიტყვით ამ დღეებში სენატს განუხილავს მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორის პროტესტი და დაუდგენია, ხელმეორედ გაირჩეს ტანის, ტესლენკოს და სხვების საქმე.

◆ **ახალი სამინისტრო.** „რანეე უტრო“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სასულიერო საქმეთა დეპარტამენტს სამინისტროდ აქცევენ. ამბობენ, რომ ამის შესახებ ბრძანება ამ დღეებში გამოვაო.

◆ **სამუშაოს შემცირება.** ამ უკანასკნელ დროს მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან. დღე ისე არ გავა, რომ გაზეთებმა ცნობა არ მოიტანონ ამა და აქარხანაში მუშებს გაუსწორდნენ და დაითხოვეს და სხვა. ნამეტან დიდ გაჭირვებაში არიან ლოძის, ვარშავის, პეტერბურგის და მოსკოვის ქარხნების მუშები. ზოგიერთ ქარხნებში მუშები კვირაში 2—3 დღეზე მეტს აღარ მუშაობენ, ან თუ მუშაობენ ქარხნების პატრონები იმის ნახევარ ფასსაც აღარ აძლევენ, როგორც წინედ.

◆ **ეპისკოპოს ევლოგის მოწოდება.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ეპისკოპოს ევლოგის რუსეთის ყველა მღვდლებისთვის მოწოდება დაუგზავნია. მოწოდებაში ეპისკოპოსი მღვდლებს სთხოვს ებრძოლონ „კრამოლს“ და ყოველ ღონის-ძიება იხმარონ, რომ რუსეთში მოსპონ „ჟიდები“ და მათი თანამოაზრენი.

◆ **გაპონის მემკვიდრეება** ამ რამდენიმე დღის წინედ ცნობა გვქონდა, რომ პეტერბურგის სამოსამართლო პალატა იხილავს გაპონის მიერ ლიონის ბანკში შეტანილ 20,000 მანეთის საკითხსო. საქმე იმაშია, რომ გაპონს შვილი დარჩა, ამ უკანასკნელის აპეკუნები ამ ფულს თხოულობენ. დაბრკოლება იმაშია; რომ გაპონს ეს ფული თავის გვარზე კი არ აქვს შეტანილი, არამედ სხვის გვარზე, რომლითაც იგი ერთ დროს ცხოვრობდა. „რანეე უტროს“ სიტყვით ამ 20,000 მანეთს სხვა მოდავეებიც აღმოსჩენია. გაპონის მიმდევართა მუშების ყოფილ კავშირს გადაუწყვეტია, საჩივარი აღძრას, რომ ეს ფული მათ გადასცენ. თავის მოთხოვნას იმაზე ამყარებენ, რომ 1905 წელს ფინანსთა მინისტრმა კავშირს 30,000 მანეთი მისცაო. ეს ფული გაპონს გადაეცაო. ლიონის ბანკში შეტანილი 20,000 მანეთი ამ ფულიდან არის გადარჩენილიო.

◆ **რუს ანარქისტების დატუსაღება სტოკჰოლმში.** ხელმწიფე-იმპერატორის შვეციაში მისვლის დროს შვეციის პოლიციას დაუპატიმრებია 20 რუსი ანარქისტი, რომელსაც სხვა და სხვა საბუთები აღმოსჩენიათ.

◆ **ცოლის 2 მანეთად გაყიდვა.** ამ დღეებში ქალაქ ნოვოგრადვოლინსკში შემდეგი ამბავი მოხდა: ადგილობრივმა მოქალაქემ თავის მეზობელს მიჰყიდა თავის ცოლი—ორ მანეთად. ცოლ-ქმარს ერთად 20 წელიწადი უცხოვრიათ. გაყიდული ცოლი ძალა-უნებურად თავის ახალ პატრონთან წასულა. ამ უკანასკნელს რამდენიმე ხნის შემდეგ ქორწილის გადახდაც კი მოუსურვებია, მაგრამ 2 მანეთად შეძენილ ცოლს“ ეს არ მოუსურვებია და თავის ნათესავებთან გაქცეულა!!

◆ **ჩინელები.** გაზ. „პრიამურიეს“ ხარბინელი კორესპონდენტი სწერს: „ქალაქი სულ ჩინელებით არის სავსე. ჩინელები სცდილობენ დაგვანახონ, რომ ჩვენ მათ ტერიტორიაზე ვცხოვრობთ და ამასთან ერთად იმის ანგარიშშიაც არიან, რომ რაც შეიძლება მეტი ისარგებლონ ამით. ყოველ ფეხის გადადგმაზე დამოუნებს აგებ და სულს გვხუთავენ და სხვა“. როგორც ეტყობა ძალიან გაბრაზებული ბრძანებულა კორესპონდენტი. თავიანთ ტერიტორიაზე როგორ გაბედეს დამოუნების აგება. საინტერესო სხვაგან როგორღა იქცევიან?!

განცხადებანი

მხატვრისათვის
ერთ დიდ სამხატვრო სამუშაოსათვის
საჭიროა
ლამაზი ახალგაზდა
ქართველი ქალი,
როგორც მოდელი სახისა და ნაციონალურ ტანისამოსისა.
ადრესი უნდა გამოიგზავნოს: „ორიანტის“ სასტუმროში, № 27. (1—322—1)

Высшая награда
Вязальная

Швейныя машины „Кайзеръ“
ალექსანდრე როსტომისძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. მაშინები მაღალ ხარისხოვანია და ბევრად უფრო გაუმჯობესებული „სისტემა ზინგერ“-ზე. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქს მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, ამბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
ა დ რ ე ს ი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—б.—50)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
[illegible]
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
[illegible]
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—120)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.
(წლ.—6.—80)

ბალი-რესტორანი
◀ ამხანაგობის ▶
„იმუანე“-სი
სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბალში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. ბალში შესვლა უფასოდ.
სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია.
телефонъ N 233. (50—გაკ.—21)

კანტორა და საწყობი
„სპერმატინისა“
და
„ა ლ მ ე ზ ი ს ა“
გადმოტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—8) ი. ახობაძე.

სიკვდილი ბაღლინჯოებს!
ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.
დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %.
(15—ახ.—15)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.